ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან ხუთშაბათი, 5 თებერვალი 1998 №16 (551) ფასი 40 თეთრი


# ჩივაძე პრეზიდენტია
## მცხეთაში მონათლული ნაკრებით
# მაისში რუსებს ვუმასპინძლებთ



გუშინწინ, 12 საათზე ეროვნული გუნდის ახალარჩეულმა თავკაცმა, ვლადიმერ გუცაევმა ფეხბურთის ფედერაციაში ნაკრების ცხრა კანდიდატი შეკრიბა. მან ბიჭები ათიოდ წუთით სათათბიროდ შეიყვანა, მერე კი მწვრთნელ-მოთამაშეებმა მცხეთას მიაშურეს და პირველი ვარჯიშიც ჩატარდა.

გამართლდა ფედერაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელის ნათქვამი, აწი ნაკრები დილმის ბაზაზე არ შევა, სავარჯიშოდ სხვა ადგილს გამოვნახავთო. აკი გუცაევმა ბრძანა — სანამ ეროვნული გუნდი სამუდამო ბინას იპოვის, სავარჯიშოდ მცხეთაში ვივლითო. მწვრთნელმა ხომ თავისი საქმისა უკეთ უწყის.

ეროვნული გუნდის კანდიდატებმა გუშინ დილითაც წაივარჯიშეს, მერე ყველამ ბარგი შეკრა და აეროპორტის გზას დაადგა. ქართული დელეგაცია გუშინ მოსკოვს ჩაფრინდა და სასტუმრო „ბელგრადში" დაბინავდა. ნაკრების თავკაცობამ იგნატიევთან ამხანაგური შეხვედრის თარიღი დააზუსტა. რუსებმა ჩვენთან გაჯიბრების სურვილი გენტშივე გამოთქვეს და 30 მაისს თბილისშიც ჩამოვლენ. საკითხავი ახლა ის გვაქვს, რა გუნებაზე გავაბრუნებთ შინ.

დღეს ჩვენები მალტას ესტუმრნენ. მათ იქ ნაკრების 12 წევრი შეუერთდება. ზეგიდან კი იკითხეთ გაზეთი „სარბიელი". მალტაში ჩვენი სპეციალური კორესპონდენტიც გაემგზავრა. შაბათს კობა ინასარიძის პირველ რეპორტაჟს შემოგთავაზებთ.

ასე რომ, 7 თებერვლიდან ყველაფერს შეიტყობთ მალტის ტურნირისა და ჩვენი ნაკრების შესახებ.

და კიდევ, 31 იანვრიდან, ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის გადაწყვეტილებით და წესდების თანახმად ალექსანდრე ჩივაძე ფედერაციის პრეზიდენტია.

# დაიხურება ეროვნული სტადიონი?

თითქმის ერთი წლის წინ იყო, თბილისში იტალიური ფირმის „ფინეურო კონსალტინგის" წარმომადგენლები რომ ჩამოვიდნენ. ეს კომპანია ჩვენში იმით გახდა ცნობილი, რომ ეროვნული სტადიონის რეკონსტრუქცია უნდა ჩაეტარებია. იტალიელები მერეც რამდენჯერმე წავიდ-წამოვიდნენ, ბოლოს სულაც განაწყენებულნი დაგვრჩნენ, აქაოდა, ქართველებთან საქმის დაჭერა აღარ ღირს, ამდენი ხანია ჯახირობენ და სტადიონის მეპატრონეთა ვინაობა ვერ დაუდგენიათო. მოკლედ, ჩვენ თქვენკენ, თქვენ კი ეშმაკებისკენო?

მას შემდეგ სტადიონის მეპატრონეთა ვინაობაც გაირკვა, ყველამ თავისი წილიც მიიღო და უეფამაც ფული გამოყო სარემონტო სამუშაოების დასაწყებად. განახლება პლასტიკატის სკამების დამონტაჟებით დაიწყო. ვისაც პირველი იარუსის დასავლეთ მხარეს დადგმული სკამები უნახავს, ყველა დაგვეთანხმება, იქაურობას რაღაც დონეზე პეწი მაინც აკლდა. მერე ფეხბურთის ფედერაციამ და სპორტის დეპარტამენტმა ყველასთვის ცნობილი დავა ატეხეს და უეფამ ფულის გადმორიცხვა შეაჩერა. ესენი ძიძგილაობას დროზე მორჩნენ და გვეშველაო, ყველამ ამოისუნთქა, მაგრამ...

ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის სიკვდილმა საქართველოში არაერთი წარჩინებული სტუმარი ჩამოიყვანა. ამათ შორის იყვნენ ნორვეგიული ფეხბურთის თავკაცი, უეფას ვიცე-პრეზიდენტი, ფიფას აღმასკომის წევრი პერ რავნ ომდალი და უეფას აღმოსავლეთ ევროპის ქვეყანათა დახმარების ბიუროს თავმჯდომარე ერიხ ეპლე. გარდა იმისა, რომ ამათ ნოდარ ახალკაცს მიაგეს პატივი, მეორე მისიაც შეუსრულებიათ — სტადიონზე აქამდე ჩატარებული მუშაობის ხარისხი შეუმოწმებიათ და უკმაყოფილონი დარჩენილან, სკამები კარგად არის დადგმული, მაგრამ დანარჩენი საქმე წყალშია ჩაყრილი, მოსაპირკეთებელი სამუშაოები უხარისხოაო.

იტალიელები კი იქადნებოდნენ, აქაურობას ბაღნარად ვაქცევთ, და არა მარტო აქაურობასო. ახლა უეფა სასტიკად გააფრთხილებს მათ. არადა, გამოსავალიც რომ არ ჩანს, უეფამ ხომ 275 ათასი შვეიცარული ფრანკი უკვე ჩაურიცხა „ფინეურო კონსალტინგს". აქ არც თბილისის მერიისგან გაღებული 260 ათასი ლარი უნდა დავივიწყოთ. ეს ყველაფერი ხდება იმ დროს, როცა მუშაობა უნდა გახურდეს.

ომდალი და ეპლე მაინც თანადგომას შეგვპირდნენ. უეფას ხარჯებით თბილისს ბელარუსიდან სპეციალური სამუშაო ჯგუფი ეწვევა, რომლებიც დაგვეხმარებიან სტადიონის განახლებაში. მათ უკვე ჩაუტარებიათ მინსკში ცენტრალური სტადიონის რეკონსტრუქცია.

გარდა ამისა, უეფა განათების დამონტაჟებასაც გვპირდება. მათ უკვე მიიღეს გამოცდილება და ახლა პირველ შემხვედრს აღარ ენდობიან, თავად ჩაატარებენ კონკურსს 4-5 ფირმას შორის. ერთ-ერთი მონაწილე ცნობილი ამერიკული ფირმა „ჯენერალ-ელექტრიკიც" იქნება. არ არის გამორიცხული, ჩვენი სტადიონის განათება მათ მიანდონ. ამ საქმისთვის უეფა დაახლოებით 600 ათასი დოლარის გამოყოფას აპირებს. მთლიანად შეიცვლება საკაბელო სისტემაც, რომელიც 1976 წლიდან მუშაობს და ვადაგასულად ითვლება. განათების თაობაზე ფეხბურთის ფედერაციას ორ კვირაში აცნობებენ. ამ ხნის განმავლობაში იმ ფირმის ვინაობაც გაირკვევა, რომელიც სტადიონს ნორმალური შუქით უზრუნველყოფს.

გასულ წელს უეფამ ჩვენს ეროვნულ სტადიონს სულ 300 ათასი დოლარი დაახარჯა. ომდალის და ეპლეს თქმით, წელს დახმარება ორჯერ გაიზრდება.

სტუმრები ერთობ კმაყოფილნი დარჩნენ იმით, რომ მერიამ რაც ივალდებულა, ყველაფერს ასრულებს და სახელმწიფოც ყოველმხრივ ეხმარება სტადიონის კეთილმოწყობაში. ამჟამად სტადიონს ყველა ადრინდელი დავალიანება ჩამოეწერა, გადარიცხულ თანხაზე უკვე მოგახსენეთ და, როგორც შევიტყვეთ, კვლავ აპირებენ ფულის გამოყოფას.

შემოდგომაზე ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი დაგვეწყება. მანამდე ეროვნულ სტადიონზე ბევრი რამ უნდა გაკეთდეს, სხვაგვარად ჩვენი გულშემატკივარი დიდ ფეხბურთს ვერ იხილავს. გარე-გარე თამაში კი ნაკრებსაც აწყენს. ასე რომ, დროა, ხელები დავიკაპიწოთ და საქმეს მივხედოთ. რაკი ამხელა ფული იხარჯება, ხარისხიანად გავაკეთოთ. იტალიელს რა ენაღვლება, გააკეთებს და წავა. მერე უყარე კაკალი.

ადრეც არაერთხელ თქმულა, სტადიონიდან ნათურები გაქრა და მისთანებიო. ახლა იმასაც ამბობენ, ორი ტრაილერი დასახური მასალა მოიპარესო. ესეც ხომ ასანთი არ იყო, ვინმეს ჯიბეში დაემალა.



მერაბ [illegible] ფოტო



ოლიმპიადის მომლოდინე ნაგანოში შიშმა დაისადგურა

# ოლიმპიადა ტერორისტებმა გახსნეს

ტოკიოს საერთაშორისო აეროპორტში განხორციელებულმა ტერორისტულმა აქტმა ნაგანოს ოლიმპიადის ორგანიზატორები ერთობ შეაშფოთა. ნაღმსატყორცნიდან გასროლილი სამი ჭურვი სამშაბათს, იქაური დროით დილის ცხრა საათზე, ნარიტას აეროპორტის ავტოსადგომს დაეცა და ერთი მუშა დააშავა. აეროპორტი ერთი საათით დაიკეტა. ჭურვები, რომელთაგან ერთი 25 სანტიმეტრი სიგრძისა, არ აფეთქდა, აეროპორტის მახლობლად მდებარე სასტუმროს უკნიდან ისროლეს. პასუხისმგებლობა მომხდარის გამო ჯერჯერობით არავის უკისრია. პოლიციის ვარაუდით, დამნაშავეები უკიდურესი მემარცხენეები უნდა იყვნენ, თუმცა მოტივი ოლიმპიადის ჩაშლაც შეიძლება იყოს — მონაწილეთა და ათასობით უცხოელი გულშემატკივრის უმეტესობა სწორედ ნარიტას აეროპორტიდან მიემგზავრება 325 კილომეტრით დაშორებულ ნაგანოში.

როგორც აღმოჩნდა, ეს პირველი შემთხვევა არ არის, როცა ნარიტას აეროპორტი საარტილერიო შეტევების სამიზნედ აქციეს. თვითნაკეთი ყუმბარები მას ჯერ კიდევ 1966 წელს დაუშინეს — მაშინ იაპონიის მთავრობამ ტოკიოდან 70 კილომეტრით დაშორებულ ნარიტაში აეროპორტის მშენებლობის გეგმა გამოაქვეყნა. მთავრობამ ადგილობრივი მოსახლეობისთვის მიწების ძალით ჩამორთმევა დაიწყო, რამაც პოლიციასა და ფერმერებს შორის მძაფრი შეტაკებები გამოიწვია. აეროპორტი საბოლოოდ 1978 წელს გაიხსნა, თანაც დაგეგმილთან შედარებით გაცილებით მცირე ფართობზე.

„ნარიტას ინციდენტმა ძალზე დაგვაფიქრა და აგვაღელვა" — განაცხადა ნაგანოს პოლიციის წარმომადგენელმა მასაიუკი მურამაცუმ. ეს იმაში გამოიხატა, რომ ნაგანოსა და მასთან ახლოს მდებარე ხუთ სოფელში დამატებით 6 000 პოლიციელი შეიყვანეს. მურამაცუს თქმით, იაპონელი რადიკალები, თავიანთ მიმდევრებს საკუთარი ძალა რომ აჩვენონ, ხშირად ირჩევენ დიდ საზოგადოებრივ მოვლენებს, ამიტომ ოლიმპიადა მათთვის საუკეთესო სამიზნეა. რადიკალებს 1986 წელს დიდი შვიდეულის ტოკიოში შეხვედრის დროს კინაღამ უმსხვერპლიათ ინდუსტრიული ქვეყნების ლიდერები, 1990-ში კი აფეთქებებით იმპერატორ აკიჰიტოს ტახტზე ასვლაც აღუნიშნავთ.

ნაგანოს პოლიციამ სავარაუდო დამნაშავეების საგანგებო სიაც კი შეადგინა, რომელშიც მოხსენიებულია „აუმ სინრი კიოც" — უზენაესი სამართლის სექტა. მის ანგარიშზეა 1995 წლის მარტში ტოკიოს მეტროში მომწამვლელი გაზის გამოყენება, რამაც 12 ადამიანი სიცოცხლეს გამოასალმა, 6 000 კი დაავადა. სექტას ნაგანოს პრეფექტურასთან „ახლო ურთიერთობა" ჰქონია — ნაგანოდან ერთი საათის სავალზე, მაცუმოტოში მისი ერთ-ერთი შტაბ-ბინა ყოფილა განლაგებული. 1994 წელს „აუმ სინრი კიოს" ბნელ საქმეებს ერთიც მიემატა — შხამიანმა გაზმა კიდევ რამდენიმე ადამიანი იმსხვერპლა. მიუხედავად იმისა, რომ სექტის ლიდერები დააკავეს, იგი მაინც განაგრძობს არსებობას.



პოლიცია აფეთქების ადგილზე

II წრე საქართველოს

# ტორპედო

# ქუთაისური ლახტის წრე

**წავიდნენ**

| | | |
|---|---|---|
| თ | ქებაძე | ბრედა, ჰოლანდია |
| მ | ხვადაგიანი | ალანია |
| ნ | ჯინჭარაძე | ? |
| მ | ს. გიგიაძე | იბერია |
| თ | ვ. გიგიაძე | იბერია |
| ნ | ნოზაძე | კოლხეთი |
| | კუტივაძე | ნაკრები |

**მოვიდნენ**

| | | |
|---|---|---|
| მ | ვაშაკიძე | მორკინალი |
| მ | ჩხაბერიძე | ლოკომოტივი, ს-პ, რუსეთი |
| | ფრუიძე | ტორპედო |

### ვინ არის მეოთხე?

ზუგდიდის „ოდიში“ საქართველოში უდავო ლიდერია. პირველი წრის შემდეგ იგი მესამეა, მაგრამ ეს წერილი „ტორპედოზეა“ და რაში დაგვჭირდა ამ გუნდის ხსენება? ზუგდიდელებს ბადალი არ ჰყავთ პრეზიდენტთა ცვლაში — შვიდი წლის მანძილზე კლუბს 11 თავკაცი ჰყავდა. თანაც, ერთ-ერთი, ოთარ ფაცაცია სხვადასხვა დროს რამდენჯერმე დაუბრუნდა პრეზიდენტის საჭეს. „ოდიშს“ ყველაზე მეტად „დინამო“ ჩამორჩა — საქართველოს უცვლელ ჩემპიონს, რა ხანია, მეორე პრეზიდენტი ხელმძღვანელობს. თუკი მერაბ ჟორდანია მეშვიდე წელია, წარმატებით ეწევა მძიმე ჭაპანს, იგივეს ვერ ვიტყვით „ტორპედოს“ თავკაცობაზე. ამ საქმის მეორე „აუტსაიდერი“ სწორედ ქუთაისური კლუბია. „ტორპედოს“ ოფიციალურად მხოლოდ სამი პრეზიდენტი ჰყავდა. თუმცა ჰყოლია კიდევ ბევრი და, მგონი, არც ერთი პატრონი.

შარშანწინ ცხრილის ფსკერზე დაძირულ „ტორპედოს“ ბესიკ ჯიქია დაეპატრონა, მაგრამ, როგორც ირკვევა, იგი დღემდე არ ყოფილა კლუბის პრეზიდენტი. ეს ოფიციალურად, თორემ ფაქტობრივად რაც იყო, გეხსომებათ. ამბობენ, ერთი წლის მანძილზე არ არსებულა „ტორპედოს“ არც ერთი დოკუმენტი, რომელზეც ჯიქიას მოეწეროს ხელიო. კლუბის ფაქსიმილეს დირექტორი და ვიცე-პრეზიდენტი ფლობდნენ.

ახლახან „ტორპედოს“ ერთ-ერთმა მეპატრონემ, ქუთაისის მერიამ გადაწყვიტა, ჯიქიას ოფიციალური სტატუსი დაედგინა და კლუბს პრეზიდენტიც გაუჩინა. მოულოდნელად, იგი არა ჯიქია, არამედ ქალაქის მერი დავით მელქაძე აღმოჩნდა. ამ ფაქტმა რომ არ შეგაცდინოთ, განვმარტოთ: ლაპარაკი საპატიო პრეზიდენტობაზე როდია. ასეთად, კარგა ხანია, თეიმურაზ შაშიაშვილი ითვლება და ამ მხრივ რამე არც ახლა შეცვლილა. მელქაძე სწორედ პრეზიდენტობას აპირებს და ამან ჯიქია გაურკვევლობაში ჩააგდო — მერიამ ვიცე-პრეზიდენტობა კი შემომთავაზა, მაგრამ ამას არ დავყაბულებულვარ და არც დავყაბულდებიო. ჯიქია საკუთარი პოზიციის შეურყევლობას იმით ადასტურებს, შესაბამისი კრების ოქმისთვის ხელი არ მომიწერიაო. იგი, როგორც ოფიციალურად არაპრეზიდენტი, თითქოს ვალდებულიც არ იყო, ოქმი დაემოწმებინა. თუ არ დაამოწმებდა, საკუთარ სტატუსს გაურკვევლად ტოვებდა. აბსურდული ლოგიკით იკვრება მოჯადოებული წრე, რომელსაც ჯიქია გარშემო თუ მოუვლის. მით უმეტეს, დარხეული ხმები იმის შესახებ, რომ „ტორპედოს“ ახალ დამფინანსებელს ეძებენ, სულ უფრო ძლიერდება. კულუარებში მოსკოვში მოღვაწე ერთ-ერთი ქართველი ბიზნესმენის გვარსაც ხშირად მოკრავთ ყურს. ჯიქია იმას ძლიერ გაუნაწყენებია, რომ მელქაძე პრეზიდენტობასაც ეშურება და მეორე ვიცე-პრეზიდენტადაც ისეთი კაცის დანიშვნას აპირებს, მას რომ ენათესავება.

ახლა ესა ვთქვათ, არის თუ არა ბესიკ ჯიქია „ტორპედოს“ ერთ-ერთი დამფუძნებელი? რა თქმა უნდა. უმისოდ მერია გუნდს ვერც დააფინანსებს, „სიგმა-ბანკის“ მმართველი ამავე ბანკის დამფუძნებელი ფირმა „იმერეთ-იმპექსის“ პრეზიდენტის მხარდაჭერით სარგებლობს. ეს ორი ერთად კლუბის დამფუძნებელია 60 პროცენტისა და გადამწყვეტი ხმის უფლებით. ამან თუ ათქმევინა ჯიქიას, ის, რაც მერიას სურს, არ მოხდებაო.

ვინ არის „ტორპედოს“ მეოთხე პრეზიდენტი, გაურკვევლად რჩება. არადა, ერთი კვირის წინ ბესიკ ჯიქია მოვლენათა ასეთ განვითარებას, ეტყობა, არ ელოდა. სხვაგვარად როგორ იტყოდა, კრიზისი კლუბმა 6 თვის წინ გადალახაო?

### ხელისუფლების კრიზისი

ერთი კვირის წინ ბესიკ ჯიქია დაიმედებული ჩანდა: ფინანსური კრიზისი არც არასდროს გვქონია, ჩვენი პრობლემა დამფუძნებელთა შორის ურთიერთობის გარკვევა გახლდათ და სიმართლის პირას გავედით, ეს კრიზისიც დავძლიეთო.

ასე ერთი კვირის წინ იყო. მაშინ ჯიქიამ ისიც აღიარა, დავრწმუნდი, მერია თანხას არ დახარჯავს და მისი მონაწილეობა სხვაგვარად გამოიხატება — ელექტროენერგიის და კომუნალურ გადასახადებში ჩათვლებს გაგვიკეთებს და შესაძლებელი გამოსყიდვის უფლებით სტადიონისა და ბაზის 11-წლიან იჯარასაც დაგვიკანონებსო. იჯარის საკითხი უკვე გადაწყვეტილია — მერიამ ქონების მართვის სამმართველოს 38 282 ლარი გადაურიცხა. ჩათვლებზეც არ იტყვის უარს, ოღონდ, ჩანს, როგორც ერთ-ერთ კანონიერ მეპატრონეს, საკუთარი ამბიციებიც გაუჩნდა. ამ ამბიციებს დანარჩენი კანონიერივე დამფუძნებლები არ ეთანხმებიან და კრიზისიც სხვა რაა?

### მეფეთა ნაკვალევზე

„ტორპედოს“ ხელმძღვანელობაზე ვთქვით. ვფიქრობთ, უინტერესო არ იქნება, თუ თავად გუნდშიც შევიხედავთ. საამისოდ ქუთაისის მძლეოსნობის კომპლექსის კარი უნდა შეაღოთ და ფიზიკურ მომზადებაზე მყოფ ტორპედოელებს თუ არა, სამგურალელებს მაინც გადააწყდებით. ქუთათურები კი, შესაძლოა, საღორიის საწვრთნელ ბაზაზე მიმავალს გზაში შემოგხვდნენ. და თუ მთელ გუნდს რიგში მორბენალს დაინახავთ, ნუ იფიქრებთ, რომ გუნდიდან გარბიან. ეს მხოლოდ კროსია. ცხადია, „ტორპედო“ მინდორზე გასვლასაც აპირებს და საამისოდ გეგუთის სტადიონი შეიგულა. ბაზის მინდორს კი საგაზაფხულოდ უფრთხილდება. „ტორპედო“ 11 თებერვლისთვის ანთალიაში წასვლას აპირებს. ხმელთაშუა ზღვის ეს თბილი კურორტი საღორიის გამთბარ ბაზას და კვიპროსის ვარიანტს სპარინგ-პარტნიორების ფართო არჩევნის გამო ამჯობინეს.

„ტორპედო“ 5 იანვრიდან საკუთარ ბაზაზეა და გულმოდგინედ ემზადება. მეორე წრის სამზადისს ქუთაისელები ცვლილებით შეეგებნენ, მიზანი უცვლელია — ევროთასების საგზურის მოპოვება. ამოცანა — ურთულესი. „ტორპედომ“ ის დანაკარგი უნდა აინაზღაუროს, საკლუბო პოლიტიკის შეცდომას რომ აბრალებს.

### დანაკლისი

გუნდი, რომელიც საქართველოს პრიზიორობას ისახავს, მეორე წრის წინ ისეთ ფეხბურთელებს არ უნდა ელეოდეს, როგორიც ხვადაგიანი და ქებაძეა. არადა, ერთი უკვე „ალანიაშია“, მეორე — „ბრედაში“ ისინჯება. ამათ გარდა გუნდი ჯინჭარაძემ, ტყუპმა გიგიაძეებმა და ნოზაძემ დატოვეს. ეს უკანასკნელი რეჟიმის დარღვევისთვის სერგო კუტივაძემ დაითხოვა. რაც შეეხებათ ტყუპებს, ისინიც ყოფილმა თავკაცმა დაიწუნა, მაგრამ ჯიქია მათ კომპენსაციის გარეშე ვერ ელეოდა. რაკი გიგიაძეები უსაფუძვლოდ იყვნენ დათხოვილი, „ტორპედოს“ დათმობა მოუხდა და პრეტენზიები დაიოკა. მართალია, პირველ წრეში „ტორპედოში“ არ უთამაშია, მაგრამ რაკი ამ კლუბის საკუთრებაა, ისე არ იქნება, აშვეთიას ტრანსფერზეც არ ვთქვათ.

### აშვეთია ვისია

როგორც იქნა, მიხეილ აშვეთიას ირგვლივ ატეხილი აყიოტაჟი დროებით მიწყნარდა. დროებით იმიტომ, რომ მიხო „დინამოს“ დროებით ათხოვეს, ბესიკ ჯიქიას თქმით, იგი არ გაუყიდიათ. აშვეთია რომ „ტორპედოს“ უმთავრესი კაპიტალია, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს. რატომ არ ისურვა „ტორპედომ“ მეორე წრეში მაინც მისი დახმარება? ჯიქიას აზრით, მეტრეველის, იონანიძის, მეგრელაძის, ჯანაშიას და შენგელიას პატრონ გუნდს აშვეთიასთანა მეგოლე აღარ უნდა დასჭირდეს. ეს იქნებ ასეცაა, მაგრამ ერთი კლუბი რომ მეორეს, გინდა არ გინდა, თავის კონკურენტს, ასეთ იარაღს გადააბარებს, არც ფინანსური ინტერესი უნდა გამოირიცხოს. ამას ჯიქია არ უარყოფს. ეგაა, გარიგების ფინანსურ მხარეს არ ამჟღავნებს, მაგრამ იმედოვნებს, თუ გასაყიდია, აშვეთია „დინამოდან“ უკეთ გაიყიდება, რა თქმა უნდა, მხოლოდ „ტორპედოს“ თანხმობით.

არადა, „ტორპედოს“ ქომაგებს, თუმც მცირე, მაგრამ მაინც ჰქონდათ იმედი, რომ აშვეთია მათ გუნდს გააძლიერებდა. ასე კი არ მოხდა. გამოდის ქუთათურებს საქმე სამღერლად რომ ჰქონდეთ, ძველებურ შოფრულს უნდა იხსენებდნენ.

### ნამატი

შეყრილაძეს, ვისთანაც „ტორპედომ“ ვადაგასული ექვსთვიანი კონტრაქტი ორი წლით გააგრძელა, ნამატი არ ეთქმის. არც ნოზაძესთან ერთად კუტივაძის მიერ გათავისუფლებული დავით ჯანაშიაა „ტორპედოში“ ახალი. მას საკონტრაქტო პირობა შეუსრულეს და გუნდში დააბრუნეს. ამასვე ელოდება არჩილ ჩხაბერიძეც. იგი სანქტ-პეტერბურგის „ლოკომოტივიდან“ დაუბრუნდა ქუთაისს და ამბობს, გუნდთან ერთად ვარჯიშს მხოლოდ ამის შემდეგ დავიწყებო. სხვა აზრზეა ყოფილი „მორკინალი“ ირაკლი ვაშაკიძე, რომელიც „ტორპედოში“ ვარჯიშს ერთი კვირაა შეუდგა, რომ აღარაფერი ვთქვათ მიხეილ ბობოხიძეზე, იმედაძესა და გიორგაძეზე.

### სოსოფილია

„ტორპედოში“ ახლადშემატებული არც სოსო ფრუიძეა. კუტივაძის ყოფნაში ფრუიძე თანაშემწედ გაამწესეს, მისი სკანდალური გათავისუფლების შემდეგ კი მთავარი მწვრთნელი კაბინეტს დაუბრუნდა. აქვე კუტივაძის დათხოვნის დეტალებზეც ვთქვათ. ბესიკ ჯიქიამ უხერხულობის წარმოქმნა გაუგებრობას დააბრალა: თანადამფუძნებლებთან ერთად კუტივაძის გაშვება რომ გადავწყვიტეთ, სანამ შევატყობინებდით, პრესაში ინფორმაციამ გაჟონაო.

ის, რაც კუტივაძეს შეეხებოდა, ვთქვით. ახლა ის გავიხსენოთ, რისთვის დაითხოვეს თავის დროზე ფრუიძე. ჯიქიას ფრუიძის პროფესიონალიზმში ეჭვი არ შეუტანია, მაგრამ იგი თურმე „კოლხეთში“ უეფას თასის მატჩებისთვის ფეხბურთელების თხოვებას შეეწირაო. ჯიქიას თქმით, ფოთელთა თავკაცმა სოსო ფილიამ მისი უცხოეთში ყოფნით ისარგებლა და ფრუიძე მოატყუა. ჯიქიას აზრი, თუ ფრუიძე საჭიროდ ჩათვლის, ფეხბურთელები გაათხოვოს, წინააღმდეგი არ ვიქნებიო, დამახინჯებულად გადასცაო. შედეგად „ტორპედომ“ სხვა სავარჯიშო ციკლში მომზადებული, ტრავმირებული ფეხბურთელები დაიბრუნა. პირველ წრეში წარუმატებელი თამაშის მიზეზიც ეს გამხდარა. ჯიქია იმედოვნებს, რომ ასეთი გაუგებრობა აღარ შეემთხვევა და გუნდის საჭეს კვლავ იმ კაცს ანდობს, რომლის შეცდომებმა სწორედ ფილიას „კოლხეთთან“ შეხვედრისას „ტორპედოს“ ინტერტოტოს საგზურისთვის ბრძოლაზე ხელი აალებინა.

### სტადიონი

შარშან მიუღწევლის მიღწევას „ტორპედო“ წელსაც ეცდება. თუ ევროტურნირებში მონაწილეობის უფლება მოიპოვა, ევროპული სტანდარტების სტადიონიც დასჭირდება. არადა, „გივი კილაძის“ სტადიონს არც ტაბლო და განათება უვარგა, არც ადმინისტრაციული კორპუსის სახურავი. ჯიქია ფიქრობს, რომ ამ პრობლემათა მოსაგვარებლად და პრესლოჟის გასამართავად მუშაობა 15 თებერვლიდან დაიწყება, ინდივიდუალური სკამების საკითხი კი მოგვიანებით დადგება.

### მოვალე

სამაგიეროდ უკვე დგას ერთი საკითხი, რომლისგანაც არანაკლები პრობლემაა მოსალოდნელი. სანდო ინფორმაციით, „ტორპედო“ სახელმწიფოს და „სიგმა-ბანკის“ წინაშე ვალშია — საგადასახადოსთვის ჯერ შარშანდელი საშემოსავლო თუ დამატებითი ღირებულების გადასახადი, სოცდაზღვევის დანარიცხები არ გადაუხდია. „სიგმა-ბანკისა“ კი „ტორპედოს“ გვარიანი თანხა მართებს — მართალია, შეღავათიანი სესხი, მაგრამ მაინც გასასტუმრებელი.

როგორც არ უნდა იყოს, „ტორპედოს“ ქალაქის წინაშე უფრო დიდი ხნის ვალი აქვს — ევროტურნირებზე გასვლა და იქ ღირსეული თამაში. აღდგომა და ხვალეო. ჩემპიონატიც მალე დაიწყება.

**ვახტანგ ბზიკაძე**

გუშინწინ შუადღისას კოპიტნარის აეროპორტში დაფრენილმა იაკ-40-მა ნოვოსიბირსკის „ჩკალოვეცის“ 39-კაციანი დელეგაცია ჩამოიყვანა. რუსეთის ჩემპიონატის მეორე ლიგის ბინადარი წყალტუბოში სამკვირიან შეკრებას გაივლის. გუნდი თავდაცვის სამინისტროს კეთილმოწყობილ სანატორიუმ „წყალტუბოში“ გაჩერდა. „ჩკალოვეცის“ ბიოგრაფია ერთობ ღარიბია. აქამდე მას თავი არაფრით გამოუჩენია. სამაგიეროდ, ახლა ისახავს მაღალ მიზნებს, პირველ ლიგაში გადასვლა განუზრახავს. კლუბის მესვეურები საამისოდ არაფერს დაიშურებენ. ეს იქედანაც ჩანს, რომ „ჩკალოვეცის“ გასაძლიერებლად ყველაფერი კეთდება, ორგანიზაციული საკითხები კი, ფაქტობრივად, გადაწყვეტილიცაა. გუნდის მთავარ მწვრთნელად ქართველი სპეციალისტი სერგო ირემაშვილი დაინიშნა. შარშან იგი ნიჟნევარტოვსკის „სამატ ლორს“ წვრთნიდა და ზონაში მეორე ადგილზე გაიყვანა.

# სიბირი საქართველოში

**სერგო ირემაშვილი**

35 წლის, გურჯაანელი

მეკარეობდა „ალაზანში“, იაროსლავლის „შინიკში“

1992-1993 წლები — გუნდის უფროსი ნახოდკას „ოკეანეში“

1994 წელს — გუნდის უფროსი სამარის „კრილია სოვეტოვში“

1995-1996 წლები — სოჭის „ჟემჩუჟინას“ გენერალური დირექტორი

1997 წელს — „სამატლორის“ მთავარი მწვრთნელი

1998 წლიდან „ჩკალოვეცშია“.

**— შვიდი წელი გავიდა, რაც საქართველოში საწვრთნელ შეკრებაზე სხვა ქვეყნის გუნდი არ ჩამოსულა. „ჩკალოვეცი“ პირველი მერცხალია. ვის უნდა ვუმადლოდეთ ამ ვიზიტს?**

— ვგრძნობდი, რომ პირველად ამას მკითხავდით. აქეთ წამოსვლა რომ ვთქვით, იცით, თავიდან რა გვიპასუხეს? სად მიდიხართ, იქ ხომ ომია და იქნებ ცოცხლებიც ვერ გადარჩეთო. დაიჯერებთ? ყველას არა, მაგრამ ციმბირელი რუსების უმეტესობას წარმოდგენაც არა აქვს, რა ხდება დღეს საქართველოში. ისევ ჩვენ, ქართველებმა დავარწმუნეთ ხელმძღვანელობა, რომ არავითარი საშიშროება არ გველის, სავარჯიშო პირობებიც ნორმალური იქნება.

**— ჩვენ, ქართველებმაო...**

— ჩემს გარდა, „ჩკალოვეცის“ ოთხი რვეხებური ძოთაძეე ვიგულისხმე. ზუგდიდელი მურთაზ ნაჭყებია კარგა ხანია, ამ გუნდშია. ქუთაისელები — მამუკა მანაგაძე, გელა წიქარიშვილი და გიორგი გიგატაძე ჩემთან ერთად მოვიდნენ.

**— თქვენი გუნდის სახელწოდება რომ ცნობილი მფრინავის, ვალერი ჩკალოვის სახელთანაა დაკავშირებული, იოლი მისახვედრია...**

— რამდენადაც ვიცი, ნოვოსიბირსკში ოსტატ ფეხბურთელთა პირველი გუნდი ჩკალოვის სახელობის საავიაციო ქარხნის სპორტკლუბთან ჩამოყალიბდა. ათეული წლების მანძილზე ეს ქარხანა პატრონობდა გუნდს და რა გასაკვირია, თუ მას სახელწოდებაც შესაბამისი ჰქონდა.

**— წარსულ დროში ლაპარაკობთ. შეიცვალა რამე?**

— ჯერ არა, მაგრამ მალე შეიცვლება. ჩვენი კლუბი ხელახლა დაფუძნდება. მას სამი მეპატრონე ეყოლება — ნოვოსიბირსკის ოლქი, ქალაქის მერია და კორპორაცია „პიკეტი“. ეს კი კლუბის ფინანსური კეთილდღეობის გარანტიაა. ოლქის გუბერნატორი მუხა და ქალაქის მერი ტოლოკონსკი ფეხბურთის დიდი ქომაგები არიან. სხვებზე ნაკლები რითი ვართო, წლეულს პირველში, სამომავლოდ კი უმაღლეს ლიგაში გადასვლას გვთხოვენ. კორპორაცია „პიკეტის“ პრეზიდენტზე, იაროსლავ ვაგინზე კი ლაპარაკიც ზედმეტია. ეს კაცი ფეხბურთისთვის ყველაფერს გაიღებს. იგი კლუბის პრეზიდენტიც იქნება. ამ კლუბს კი ახალი სახელი — „სიბირი“ დაერქმევა.

**— ფინანსები მართლაც ბევრს ნიშნავს. რამდენადაც ვიცი, ძლიერი გუნდის შექმნასაც აპირებთ.**

— ყველა პირობა გვაქვს: ჩინებული ბაზა მდინარე ობის სანაპიროზე, თანამედროვე ტიპის 20-ათასიანი სტადიონი. ახლა მთავარია, ისეთი გუნდი შევკრიბოთ, პირველ ლიგაში გადასვლა რომ არ გაუჭირდება.

**— თანამემამულეების — მანაგაძის, წიქარიშვილის, გიგატაძის შესაძლებლობები გეცოდინებთ და, ალბათ, ამიტომაც უხმეთ გუნდში. სხვა სიახლეებზე რას გვეტყვით?**

— წყალტუბოს „სამგურალიდან“ გიორგი სუხიაშვილის გადაყვანა გადავწყვიტეთ. მართალია, ამ ფეხბურთელის თამაში ჯერ არ მინახავს, მაგრამ მეუბნებიან, კარგი ბიჭიაო. საკონტროლო თამაშები წინა გვაქვს და გიორგისაც თავის გამოჩენის შესაძლებლობა ეძლევა. დანამდვილებით ვერ გეტყვით, მაგრამ ორ-სამ ჩვენებურს, ალბათ, კიდევ ავიყვანთ. ერთ-ერთ ცნობილ ქართველ მეკარესთანაც ვაწარმოებთ მოლაპარაკებას, ეგებ გადმოვიბიროთ. სხვები კი უკვე შევიმატეთ. უნდა გითხრათ, სოლიდური შევსებაა. დავიმატეთ კიევის „დინამოსა“ და „როსტსელმაშში“ ნათამაშევი ოლეგ ნიკულინი, სტანისლავ დუბროვინი და იგორ პერმინოვი „ჟემჩუჟინადან“, პლატონ კრივოშჩეკოვი სანქტ-პეტერბურგის „ლოკომოტივიდან“ და ალექსანდრე ზავადსკი, რომელიც „ალანიასა“ და „შინიკში“ გამოდიოდა. რუსეთის ჭაბუკთა ნაკრების ოთხი წევრიც ჩვენთან ირიცხება: ზინოვიევი, კირიცი, ჩმიხოვი, სამოილოვი. ესენი ადგილობრივი ბიჭები არიან.

**— თქვენს დამხმარეებზეც გვითხარით...**

— მეორე მწვრთნელი ალექსანდრე პოკონინია. თავის დროზე იგი ოდესის „ჩერნომორეცში“ თამაშობდა. ალექსანდრე ზაბურდაევმაც თავისი საქმე იცის.

**— ახალი სეზონისთვის მზადებას წყალტუბოდან იწყებთ?**

— არა, სამიოდე კვირა ადგილზე, დარბაზში ვივარჯიშეთ. ჰაერზე ვერ გავდიოდით. დიდი ყინვები იყო. წყალტუბოში სამი კვირა დავრჩებით. 4 მარტს ისრაელში ვაპირებთ გამგზავრებას. მზადებას კი გერმანიაში, ჰამბურგში დავასრულებთ. ჩემპიონატი 26 აპრილს დაგვეწყება.

**— საკონტროლო თამაშების განრიგი შეგიდგენიათ...**

— 5 თებერვალს დიღმის ბაზაზე „დინამოს“ ვეთამაშებით. მერე დღეგამოშვებით სამტრედიის „იბერიას“, „ტორპედოს“ და „სამგურალს“ შევხვდებით. ეს, რაც დანამდვილებით ვიცი. სავარაუდოა, 14-ში „ოდიშს“ შევეჯიბროთ.

**— ზამთარს ჩვენ აწი ველით. ამინდები რომ შეიცვალოს?**

— ციმბირულზე უარესი რაღა იქნება, არ გვეშინია...

**— თხუთმეტი წელიწადია, სამშობლოს მოწყვეტილი ხართ. რუსულ ფეხბურთისთვის ირჯებით. ქართულზე რას ფიქრობთ?**

— ჩვენებურ ამბებს უმთავრესად „სპორტ-ექსპრესის“ საშუალებით ვებულობ. მთავარი მოვლენები არ გამოგვრჩება ხოლმე. სულითა და გულით ვულოცავ ჩემს მეგობარს, ვლადიმერ გუცაევს ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელობას, ღმერთმა შეაძლებინოს გუნდის ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გაყვანა. საქართველოში ახლა მართლაც ბევრი ნიჭიერი ფეხბურთელია, მომავალში კიდევ უფრო მეტი გვეყოლება.

**— ბოლოს რას გვეტყვით?**

— გავიგე, ჩემს მშობლიურ კუთხეში — კახეთში ფეხბურთისადმი ინტერესი დაუკარგავთ. გურჯაანს ან თელავს გუნდი არ უნდა ჰყავდეს? სამარცხვინო ამბავია.

**— აქ დავამთავროთ?**

— მინდა, წინასწარ მადლობა ვუთხრა ყველას, ვისთანაც აქ მოგვიწევს ურთიერთობა. მართლა, კინაღამ დამავიწყდა. ამ ზაფხულს ნოვოსიბირსკში გუბერნატორის თასი გათამაშდება. თელ ავივის „მაკაბის“, ტაშკენტის „ფახთაქორს“ და თბილისის „დინამოს“ მოვიწვევთ. ციმბირელებს ახსოვთ, უყვართ და ენატრებათ ქართული ფეხბურთი.

**იუზა კაციტაძე**

# დღეს შოთლანდია იწყებს

ამსტერდამის „აიაქსი“ ჰოლანდიის ცხრილის სათავეშია და ექვსკვირიანი შესვენების შემდეგ მეორე წრეს იწყებს.

როგორც გახსოვთ, „აიაქსმა“ სექტემბერი დიდებულად დაიწყო, დეკემბერში კი ენერგია ამოეწურა და წრის ბოლო შეხვედრაში „ეინდჰოვენთან“ დამარცხდა. გუნდის მწვრთნელმა, დანიელმა მორტენ ოლსენმა აღიარა, რომ საშობაო არდადეგებმა „აიაქსს“ სულზე მოუსწრო.

— გადატვირთულმა კალენდარმა ფეხბურთი ლამის სამუშაოდ გვიქცია, ეს კი მიზნად არ უნდა დავისახოთ... ფეხბურთი შემოსავლიან ჰობიდ უნდა დარჩეს,“ — თქვა მან დეკემბერში.

შესვენებისას, ამხანაგურ შეხვედრებში „აიაქსმა“ გარკვევით ვერ აჩვენა კარგ ფორმაშია თუ ცუდში. „პანათინაიკოსთან“ 1:3 მარცხს „ლევერკუზენთან“ 4:0 გამარჯვება მოჰყვა, რაც „შტუტგარტთან“ 0:4 წაგებით შეიცვალა.

— საგულისხმო შედეგები გვქონდა გერმანულ კლუბებთან. რა ანგარიშითაც ერთს მოვუგეთ, მეორესთან ისევე დავმარცხდით. აღსანიშნავია, რომ „შტუტგარტს“ გაცილებით უკეთესი ფეხბურთელები ჰყავს, ვიდრე „ლევერკუზენს“. „შტუტგარტთან“ მატჩში რაღაც ჩანაფიქრი გვქონდა, მაგრამ მთლიანად ჩავფლავდით,“ — თქვა ოლსენმა.

ბოლო ამხანაგური „აიაქსს“ „მონაკოსთან“ ჰქონდა და 3:1 მოიგო. იმ შეხვედრაში ორი გოლი შოთა არველაძემ გაიტანა.

დღეს „აიაქსი“ იმედიანადაა, რადგან ტრავმამოშუშებული დენი ბლინდი და იარი ლიტმანენი უბრუნდება, თან მდევარ „ეინდჰოვენს“ 15 ქულით უსწრებს. გუნდი უეფას თასზეც აგრძელებს ბრძოლას. 3 მარტს იგი მოსკოვის „სპარტაკს“ მასპინძლობს, 17-ში კი რუსეთის დედაქალაქის ტლაპოში საპასუხო შეხვედრას მართავს.

ჰოლანდიის ჩემპიონატში ამსტერდამელთა ერთადერთი რეალური მეტოქე 40 ქულიანი „ეინდჰოვენია“. მას თამაშიც აქვს თადარიგში. 38 ქულით „ვიტესია“ მესამე და მასზეც შეიძლება მკრთალად ითქვას, რომ „აიაქსის“ მეტოქეა მაგრამ 35 ქულიანი „ჰერენვეენი“ და „ფეიენოორდი“ პირველობისთვის რომ ველარ იბრძოლებენ, ფაქტია.

„ეინდჰოენმა“ არდადეგებამდე ერთხანს ლუკ ნილისის გარეშე რომ თამაშობდა, მეორე ბელგიელი ფორვარდი ჟილ დე ბილდეც. დაჰკარგა. დე ბილდემ ოპერაცია გაიკეთა და ალბათ ერთი თვე კიდევ ვერ ითამაშებს. კიდევ კარგი, ფილიპ კოკუს ამბავი გაირკვა. მართალია, ის „ბარსელონაში“ მიდის, მაგრამ შემდეგი სეზონიდან.

მაშინ, დეკემბერში, „ეინდჰოვენმა“ „აიაქსს“ 4:3 რომ მოუგო, მწვრთნელმა დიკ ადვოკაამ განაცხადა, ჰოლანდიაში ყველაზე ლამაზ ფეხბურთს ჩვენ ვთამაშობთო. შესაძლოა ასეც იყოს, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ პირველ წრეში გუნდმა სუსტ მეტოქეებთან შვიდი ფრე ითამაშა.

იანვრის ამხანაგურ მატჩებში „ეინდჰოვენმა“ მაროკოში ბუქარესტის „რაპიდს“ მოუგო, მაგრამ ბელგიურ „ჰარელბეკთან“ 1:3 დამარცხდა.

დღეს ჰოლანდიაში ბრძოლა განახლდება. სიტარდის „ფორტუნა“ როტერდამის „სპარტას“ შეებრძოლება, ძლიერთა თამაშები კი კვირასაა.

# ბირჟაზე გასვლის წინ

რომაულმა კლუბმა „ლაციომ“ განაცხადა, რომ მრავალმილიონიანი მოლაპარაკება ჩილელ ამომავალ ვარსკვლავ მარსელო სალასთან ჯერ დასრულებული არ არის.

სალასის თემა ახალი არაა, ამის შესახებ „სარბიელში“ არაერთხელ თქმულა. 22 წლის, სამხრეთ ამერიკის საუკეთესო ფეხბურთელი თავის კონტინენტზე საყოველთაოდაა აღიარებული. მან მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის 12 შეხვედრაში 11 გოლი გაიტანა და დიდი ევროპული კლუბების ყურადღების ცენტრში მოხვდა. ადრეც ვიუწყებოდით, რომ ამ კლუბთა შორის ყველაზე მეტად ინგლისის ჩემპიონი „მანჩესტერ იუნაიტედი“ აქტიურობდა, მაგრამ თავად თავდამსხმელს ევროპის სამხრეთისკენ, იტალიისა ან ესპანეთისკენ უწევდა გული.

სალასის დღევანდელი გუნდი, არგენტინული „რივერ პლეიტი“ „ლაციოსთან“ გარიგებაზე თითქოს თამამად ლაპარაკობს, მაგრამ რომაელთა პრეს-ატაშე თავშეკავებულია:



მარსელო სალასი ბუენოსაირესელ გულშემატკივრებს ეთხოვება

— ჩვენ „რივერ პლეიტს“ საკმაოდ კარგი პირობები შევთავაზეთ, მაგრამ ბუენოს აირესი ზოგი მაინც ყოყმანობს. გასაგებია, რომ ეს ის ხალხია, ვინც თვლის, რომ ძლიერ ნიჭიერი თავდამსხმელი ჯობს მათთან თამაშობდეს, ვიდრე სხვასთან.

იტალიური გაზეთები წერენ, რომ „ლაციომ“ „რივერ პლეიტს“ სალასში 18 მილიონი დოლარი შესთავაზა. ისინი ამბობენ, რომ სავარაუდო კონტრაქტი ხუთწლიანი იქნება და მოთამაშე წლიურად ნაღდ, უკვე დაქვითულ 2,5 მილიონ დოლარს მიიღებს. ითქვა ისიც, რომ საბოლოო გარიგებას ორიოდ დეტალი აკლია.

ვინაიდან იტალიური სატრანსფერო ბაზარი 30 იანვარს დაიხურა, გარიგება რომც შედგეს, სალასი სერია A-ში მომავალ სეზონამდე ვერ ითამაშებს.

ჩილელი ფორვარდის გადაბირება „ლაციოს“ მეპატრონის, ამბიციური მილიონერის, სერჯო კრანიოტის დიდი გეგმის ნაწილია. გეგმის დიდი ნაწილი კი კლუბის აქციების მილანის საფონდო ბირჟაზე გაყიდვაა. ამას კრანიოტი გაზაფხულიდან აპირებს.

რომაულ გაზეთ „კორიერე დელო სპორტთან“ საუბარში კრანიოტიმ აღნიშნა, რომ მას სალასის კონტრაქტის ოფიციალური გაფორმება ბირჟაზე გასვლამდე ანუ მარტის ბოლომდე ან აპრილის დასაწყისამდე აწყობს.

— არ ვმალავ, რომ სალასის გადაბირებას ოფიციალურად ბირჟაზე აქციების გატანის წინ გამოვაცხადებ — თქვა კრანიოტიმ.

დღეს, სერია A-ს ცხრილში „ლაციო“ მეოთხე ადგილზეა და ლიდერს, „იუვენტუსს“ ცხრა ქულით ჩამორჩება. გარდა ამისა გუნდი უეფასა და იტალიის თასებისთვის აგრძელებს ბრძოლას.

თუ სალაზი „ლაციოში“ გადავა, კლუბს საშუალება მიეცემა გაყიდოს ახლანდელი სამი ფორვარდიდან ერთ-ერთი, პიერლუიჯი კაზირაგი, ხორვატი ალენ ბოკშიჩი ან რობერტო მანჩინი.

**ახალი ზელანდიის** უდიდეს ქალაქ ოკლენდში მასპინძელთა ნაკრებმა ფრედ 0:0 ითამაშა ჩილელებთან.

**იუგოსლავიის** „ცრვენა ზვეზდამ“ ბრაზილიელი მცველი ჟირალდო სრულიად შემთხვევით შეიძინა. ესპანეთში, კერძოდ მარბელაში „სალამანკასთან“ კონტრაქტის გასაფორმებლად ჩასულმა ჟირალდოს მენეჯერმა იცოდა, რომ ფეხბურთელის შეძენას მარბელაში მყოფი „ცრვენა ზვეზდაც ცდილობდა და იგი იუგოსლავიური კლუბის თავკაცებსაც შეახვედრა. კონტრაქტი შედგა. ბელგრადელებმა ჟირალდო შეიძინეს. ახლა კი შესაძლოა კიდევ ერთი ოკეანისგაღმელი, გილერმე „ჯიბა“ სილვიერა გადაიბირონ, რომელიც იანვრიდან „ცრვენა ზვეზდასთან“ ვარჯიშობს. ისიც მოსალოდნელია, რომ გუნდმა 19 წლის ნიჭიერი მცველი ნიკოლა ლაცეტიჩი ბუნდესლიგის რომელიმე კლუბში გაყიდოს.

**საბერძნეთის** ჩემპიონატის მეოცე ტურის ბოლო შეხვედრაში, რომელიც ორშაბათს გაიმართა, ათენის აეკმა შინ 1:0 სძლია პირეოსის „ოლიმპიაკოსს“.

**ჰოლანდიურმა** „ტვენტემ“, რომელიც ხორვატიაშია შეკრებაზე, რუს იური პეტროვთან კონტრაქტი გააუქმა. მწვრთნელებმა შეამჩნიეს, რომ იგი ერთობ ეტანებოდა არაყს და კლუბიდან გაუშვეს. ოქტომბერში „ტვენტემ“ მანქანის ნასვამ მდგომარეობაში მართვისთვის პეტროვი ერთხელ უკვე დასაჯა, მეორედ კი აღარ აპატია.

**გერმანიის** ბოლო წლების უძლიერესი გუნდის, დორტმუნდის „ბორუსიის“ უპირველესმა მეკარემ შტეფან კლოსმა შეთავაზებულ კონტრაქტზე უარი განაცხადა. კლოსს, რომელმაც „ბორუსიაში“ 10 წელი გაატარა და უამრავი ტიტული მოიგო, დორტმუნდელთა თავკაცობამ ახალი სამწლიანი კონტრაქტის გაფორმება სთხოვა, მაგრამ 26 წლის მეკარემ მათი წინადადება არ მიიღო. იგი „ბორუსიაში“ 1988 წელს გადავიდა დორტმუნდისავე „აინტრახტიდან“. კლოსის შეძენის სურვილი ჯერჯერობით „ვალენსიამ“ და „გლაზგო რეინჯერსმა“ გამოთქვა.

**ინგლისის** „ბოლტონის“ პრეზიდენტმა ნეტ ლოფტჰაუზმა კლუბის გულშემატკივრებს მოუწოდა, მალე მანჩესტერი 40 წლის წინანდელი ტრაგედიის აღნიშვნას აპირებს, გთხოვთ, როცა „ოლდ ტრეფორდზე“ ვითამაშებთ, გარდაცვლილთა ხსოვნას პატივი ვცეთო. სხვათა შორის, ლოფტჰაუზი „ბოლტონს“ კაპიტნობდა და ორივე გოლი მან შეაგდო 1958 წლის ქვეყნის თასის ფინალში, როცა გუნდმა „მანჩესტერ იუნაიტედს“ სძლია. მაშინ ტრაგედიიდან სამი თვე იყო გასული.

**იტალიის** თასის მფლობელმა „ვიჩენცამ“, რომელიც ბრიტანულ კომპანიას ეკუთვნის, გადაწყვიტა გუნდის ვეტერანები და ახალგაზრდა მოთამაშეები ინგლისში გააგზავნოს. „ვიჩენცას“ გენერალურმა დირექტორმა სერჯიო გასპარინმა განაცხადა, ფეხბურთელებს ნელ-ნელა ინგლისში გავუშვებთ, მათ შორის პირველი კი ნახევარმცველი ფაბიო ვივიანი იქნება, რომელიც კარიერის ინგლისში დასრულებაზე ოცნებობდაო. ვივიანი 32 წლისაა.

**შოტლანდიის** ჩემპიონატის ბოლო ტურის უკანასკნელ მატჩში, რომელიც ორშაბათს გაიმართა, გლაზგოს „სელტიკმა“ „აბერდინს“ 3:1 მოუგო. ამ გამარჯვებით შეიქმნა ლიდერთა სამეული „სელტიკის“, „გლაზგო რეინჯერსის“ და „ჰართსის“ შემადგენლობით. სამივეს 23 მატჩიდან 48 ქულა აქვს. სამშაბათს გაიმართა ქვეყნის თასის მესამე წრის ერთი შეხვედრის გადათამაშება. „როს ქაუნთიმ“ „ეირდრიენიენს“ 1:0 სძლია და ახლა, 14 თებერვალს, მეოთხე წრეში „დანდის“ უმასპინძლებს.

**იტალიელებმა** — ჯანფრანკო ძოლამ და რობერტო დი მატეომ „ჩელსისთან“ ახალ კონტრაქტებს მოაწერეს ხელი და ლონდონურ კლუბში 2002 წლამდე დარჩებიან. 31 წლის ძოლამ, რომელიც „ჩელსიში“ 1996 წლის ნოემბერში 7,4 მილიონ დოლარად გადაბარგდა „პარმადან“ და პირველსავე ინგლისურ სეზონში საუკეთესო ფეხბურთელის წოდება მოიპოვა, „ჩელსისთან“ ორწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი გახანგრძლივების პერსპექტივით. დი მატეომაც, რომელიც 1996 წლის ივლისში გადავიდა ლონდონში 8,1 მილიონ დოლარად „ლაციოდან“, იგივე მოიმოქმედა.

## ფეხბურთის რუკასთან



**რუმინეთის** ნაკრებს 19 თებერვალს მარ დელ პლატაში ამხანაგურად უნდა ეთამაშა არგენტინელებთან, მაგრამ შესაძლოა დაგეგმილი მატჩი აღარ შედგეს, რადგან ევროპელებს ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციასთან ამ შეხვედრისთვის გამოყოფილი პრემიების გამო უთანხმოება მოსვლიათ. რუმინელთა თავკაცმა ანგელ იორდანესკუმ განაცხადა, ფედერაციის წინადადება არც ისე სახარბიელოაო.

**ბულგარეთის** ნაკრების კაპიტანმა ტრიფონ ივანოვმა კარიერა შესაძლოა შინ დაასრულოს. 32 წლის ივანოვი ამჟამად ვენის „აუსტრიაში“ თამაშობს, მაგრამ სავარაუდოდ მცველი სეზონის ბოლოს სოფიის ცსკა-ში დაბრუნდება.

**ჰოლანდიის** „ფეიენოორდის“ ნახევარმცველი ჰენკ ფრაზერი, რომელმაც სეზონის პირველი ნახევარი ქუსლის ტრავმის გამო გამოტოვა, კვლავ დაშავდა. 31 წლის ფეხბურთელმა ვარჯიშზე მუხლი დაიზიანა და კლუბის ექიმების განცხადებით, რამდენიმე თვე ვერ ითამაშებს.

**საფრანგეთის** ლიგის თასის კენჭისყრამ საკმაოდ საინტერესო წყვილები შექმნა. მეოთხედფინალში პსჟ-ს მეტოქე არანაკლებ ძლიერი „მეცი“ იქნება. გუნდები, რომლებსაც ლიგის თასი შესაბამისად 1995 და 1996 წლებში მოუგიათ, წელს უკვე ორჯერ შეხვდნენ ჩემპიონატში: მეცში მასპინძლებმა იმარჯვეს 2:1, პარიზში კი ფრე 1:1 დაფიქსირდა. „მარსელი“ „ოსერს“ უმასპინძლებს, რომელსაც ზღვისპირელებმა შარშანდელ გათამაშებაში უკვე სძლიეს 3:0. მესამე დივიზიონელი „პუატიე“ სტუმრად შეხვდება „ბორდოს“, მეორე დივიზიონელი „სოშო“ კი „ლანსს“ მიიღებს.

**შოტლანდიის** პრემიერლიგის აუტსაიდერმა „ჰიბერნიანმა“ 13-თვიანი მწვრთნელობის შემდეგ გაათავისუფლა ჯიმ დაფი. გუნდმა ბოლო 19 შეხვედრიდან მხოლოდ ერთი მოიგო, შაბათს კი, მიუხედავად იმისა, რომ მერვე წუთისთვის „მოზერველს“ 2:0 უგებდა, მაინც 2:6 წააგო.

**იტალიის** „ლეჩეს“ მწვრთნელი გამოიცვალა. ბოლო ტურში „იუვენტუსთან“ 0:2 დამარცხებას, ხოლო ჩემპიონატის 18 მატჩში განცდილ მე-13 მარცხს მთავარი მწვრთნელი ჩეზარე პრანდელი შეეწირა, რომელმაც გუნდი თავისი ნება-სურვილით დატოვა. „ლეჩეს“, რომელიც ახლა ბოლოდან მეორეა, პრანდელის თანაშემწე ანჯელო პერენი უთავკაცებს.

**ბრაზილიის** საგადასახადო ინსპექციამ გამოძიება დაიწყო „პელე სპორტს ენდ მარკეტინგის“ წინააღმდეგ. სამართალდამცავებმა პელეს და მისი ბიზნეს-პარტნიორის ელიო ვიანას კომპანია 1992 და 1993 წლებში შემოსავლების დამალვასა და გადასახადების ძლიერ შემცირებული რაოდენობით გადახდაში ამხილეს. რიო დე ჟანეიროს უდიდესი გაზეთის „ო ესტადოს“ ცნობით, პელესაც და ელიო ვიანასაც სავარაუდოდ რამდენიმეწლიანი პატიმრობა ელით.

**ინგლისის** ასოციაციის თასის მეოთხე წრის რამდენიმე შეხვედრის გადათამაშება სამშაბათს გაიმართა. პირველ დივიზიონელმა „რედინგმა“ ძირითად დროში 1:1-ის შემდეგ, პენალტებში 4:3 სძლია მესამე დივიზიონელ „კარდიფს“ და 1935 წლის შემდეგ პირველად უწია გათამაშების მეხუთე წრეს, სადაც მათი მეტოქე ასევე პირველ დივიზიონელი „შეფილდ იუნაიტედი“ იქნება. შეფილდელებმა შემდეგ წრეში გასვლა ასევე გადათამაშების შემდეგ შეძლეს — მათ 1:0 სძლიეს „იფსვიჩ თაუნი“. სამშაბათს გამართულ მესამე მატჩში „ვულვერჰემპტონმა“ 3:0 მოუგო „ჩარლტონს“.

**ესპანეთის** ჩემპიონატის ბოლო ტურში მადრიდის „ატლეტიკოს“ ნახევარმცველმა ჟუნინიომ ფეხი მოიტეხა, კლუბის გადარეული პრეზიდენტი ხესუს ხილი ხილი კი გამოძიებას შეუდგა. მან განაცხადა, ვიგოელ დამნაშავეს სასტიკად დავსჯი, შესაძლოა, სარბიელიც დავატოვებინოო.

**რუმინეთი** ევროპის მომავალი ახალგაზრდული პირველობის ფინალურ სტადიას უმასპინძლებს. თამაშები 23-31 მაისს ბუქარესტის ორ სტადიონზე — 28-ათასიან „სტიაუაზე“ და 15-ათასიან „კოტროცენიზე“ გაიმართება. ფინალურ სტადიაზე მასპინძლებთან ერთად ჰოლანდია, გერმანია, საბერძნეთი, ესპანეთი, რუსეთი, ნორვეგია და შვედეთი ითამაშებენ.

**ჰოლანდიელი** ფილიპ კოკუ „ეინდჰოვენიდან“ „ბარსელონაში“ გადავიდა. 27 წლის ნახევარმცველმა კატალონიელებთან სამწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი, რითაც „ბარსელონას“ მეოთხე ჰოლანდიელი მოთამაშე გახდა. მეკარე რუდ ჰესპის და მცველების — მიხაელ რაიციგერის და უინსტონ ბოგარდის შემდეგ.

**ინგლისის** ნაკრების და „მანჩესტერ იუნაიტედის“ ნახევარმცველი პოლ სქოულზი ამ სეზონში მეორედაა დისკვალიფიცირებული. ჩემპიონატის ბოლო ტურის მატჩში იგი უკვე მეშვიდედ გააფრთხილეს, რის გამოც ორ მატჩს გამოტოვებს თასზე და ჩემპიონატში.

**ჩილელი** თავდამსხმელი ივან სამორანო სულ მცირე სამი კვირა ვეღარ ითამაშებს. სერია A-ს ბოლო ტურში „ბრეშასთან“ 1:0 მოგებულ მატჩში მან ფეხის კუნთი გაიწყვიტა.

**აშშ-ს** ნაკრები, რომელიც ზედიზედ მესამედ მონაწილეობს მსოფლიოს ჩემპიონატში, 14 მარტს პარაგვაის შეხვდება. მატჩი სან დიეგოში გაიმართება და ნაკრების მოსამზადებელ კალენდარს უფრო შეავსებს. ამერიკელებმა უკვე მოასწრეს ორი მატჩის გამართვა — მათ 24 იანვარს შვედებს სძლიეს 1:0, სამშაბათს კი კონკაკაფის ოქროს თასის ტურნირის გახსნის მატჩში 3:0 დაამარცხეს კუბელები.

**ბრაზილიის** ნაკრებმა „ოქროს თასის“ გათამაშების პირველი მატჩი იამაიკასთან, მიუხედავად უდიდესი უპირატესობისა და უამრავი საგოლე შესაძლებლობისა, მაინც ფრედ 0:0 ითამაშა.

**ესპანეთის** ჩემპიონატის 23-ე ტურის ბოლო მატჩში მადრიდის „რეალი“ შინ 1:2 დამარცხდა „ვალენსიასთან“. უკვე მე-17 წუთისთვის სტუმრები მენდიეტას და ილიეს გოლების წყალობით 2:0 იგებდნენ, ერთადერთი საპასუხო გოლი კი 68-ე წუთზე დავორ შუკერმა შეაგდო.

**ინგლისის** „ნიუკასლმა“ შესაძლოა ორი ახალი მოთამაშე შეიძინოს. ჩრდილოინგლისელებმა ლევერკუზენის „ბაიერის“ თავდამსხმელ ულფ კირსტენს შესთავაზეს გადასვლა. კირსტენმა განაცხადა, ჯერჯერობით ლევერკუზენში დავრჩები, აქ ძალიან მომწონს, თან იქნებ კონტრაქტიც განვაახლო, მართალი გითხრათ, სხვაგან გული არ მიმიწევსო. რაც შეეხება ნიუკასლელთა მეორე შესაძლო მოთამაშეს, იგი შოტლანდიის ახალგაზრდული ნაკრების წევრი, „აბერდინის“ ნახევარმცველი სტეფან გლასია. იგი უკვე იმყოფებოდა ნიუკასლში კონტრაქტის პირობების შესათანხმებლად. ტრანსფერის სავარაუდო ფასი კი 1,5 მილიონი გირვანქაა.

**იტალიელ** არიგო საკის მადრიდის „რეალის“ თავკაცობამ კლუბის გაწვრთნა შესთავაზა, მაგრამ „სკუადრა აძურას“ მწვრთნელყოფილმა ესპანელთა წინადადება იუარა.

**ინგლისის** პრემიერლიგის კლუბ „შეფილდ უენსდეიმ“ ბუნდესლიგის „ჰამბურგიდან“ პოლონელი მცველი პაველ ვოიტალა ითხოვა სეზონის ბოლომდე. ვოიტალა „ჰამბურგში“ ერთი წლის წინ გადავიდა, მაგრამ ბუნდესლიგის მხოლოდ 14 მატჩში ითამაშა. ინგლისელებმა გერმანელებს 150 ათასი მარკა გადაუხადეს, მაგრამ თუ ვოიტალას კონტრაქტი გაუგრძელეს, მაშინ 2,2 მილიონი მარკის გადახდაც მოუწევთ.

**ბრაზილიელმა** რონალდომ, რომელმაც 6 დეკემბრის შემდეგ მხოლოდ ერთი გოლის გატანა მოახერხა, განაცხადა, „ინტერიდან“ არსად წასვლას არ ვაპირებ, რობერტო კარლოსის ნათქვამი, თითქოს ესპანეთში ვბრუნდებოდე, მტკნარი სიცრუეაო. ამასობაში რონალდოს თავისი მეგობარი გოგო სუზანა ვერნერი დაუბრუნდა, რომელიც ბრაზილიაში იყო თავის საქმეებზე.

**ესპანეთის** თასის მეოთხედფინალის ერთი მატჩი გაიმართა სამშაბათს, რომელშიც ბილბაოს „ატლეტიკმა“ 2:1 სძლია „მალიორკას“. თასის 23-ჯერ მომგები „ატლეტიკის“ გამარჯვება ურსაისის და ალკისას გოლებმა განაპირობა, კუნძულელთა ერთადერთი ბურთი კი სანჩესმა შეაგდო.

EURO 2000

ჩვენი ჯგუფი

საბერძნეთის ფეხბურთის ფედერაციას ვერ გადაწყვიტა, ვის ანდოს ნაკრების მწვრთნელობა. ვიდრე რუმინელი ანგელ იორდანესკუს საკითხი ღიად რჩება ახალი კანდიდატურებიც გამოჩნდა: პირეოსის „იონიკოსის" პოლონელი თავკაცი იაცეკ გმოხი და წარსულში კიევის „დინამოს" საუკეთესო ფორვარდი ოლეგ ბლოხინი.

# რა ღირს ანგელის პაგონი?

რუმინელი მწვრთნელი ანგელ იორდანესკუ, როგორც ჩანს, არმიის გენერლობას თავს ანებებს. „სარბიელის" მკითხველთათვის ცნობილია იორდანესკუსა და საბერძნეთის ფეხბურთის ფედერაციის ურთიერთობათა ისტორია. მოგეხსენებათ, ბერძნებმა რუმინელ მწვრთნელ-გენერალს მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ მათი ნაკრების ხელმძღვანელობა შესთავაზეს. იორდანესკუსაც შორს არ დაუჭერია, მაგრამ რუმინეთის თავდაცვის მინისტრმა განაცხადა, თუ მწვრთნელი უცხო ქვეყანაში წავა სამუშაოდ, გენერლობა ჩამოერთმევაო.

გუშინდელი ცნობით, ანგელ იორდანესკუმ დღეს ბერძენთა წინადადება დაწვრილებით უნდა განიხილოს.

— ვიცით, რომ ის საუცხოო მწვრთნელია, მაგრამ თუ ძალიან დიდი ანაზღაურება მოითხოვა, შესაძლოა, ვერ დავაკმაყოფილოთ. ხუთშაბათს (ანუ დღეს) ჩვენ მას საბოლოოდ დაველაპარაკებით და თუ პირობებზე დაგვყაბულდა, საბერძნეთის ნაკრების ახალი მწვრთნელი გახდება — უთხრა სააგენტო „როიტერის" კორესპონდენტს ბერძნული ფედერაციის ერთ-ერთმა ჩინოსანმა.

როგორც ათენური წყაროებიდან გახდა ცნობილი, მათ იორდანესკუსთვის ყველაზე მეტი 280 ათასი დოლარის წლიურად გადახდა შეუძლიათ. ამ საზღაურად ბერძნები რუმინელ გენერალს ორწლიან კონტრაქტს შესთავაზებენ.

— ცხადია, თუ იგი ჩვენს ნაკრებს ევროპის 2000 წლის პირველობის ფინალურ ეტაპზე გაიყვანს, ხელფასის გარდა დამატებით პრემიასაც მიიღებს — დასძინა ჩინოსანმა.

ამრიგად, თუ იორდანესკუ პაგონებს ფულში გაცვლის და ათენში გადაბარგდება, „იონიკოსის" ახლანდელი მწვრთნელი იაცეკ გმოხი და ოლეგ ბლოხინი, რომელსაც ქართველი მკითხველისთვის წარდგენა არ სჭირდება, თანამდებობის კანდიდატებადვე დარჩებიან. გმოხი პოლონელია, თავის დროზე პოლონეთის ნაკრების მწვრთნელის ასისტენტი გახლდათ.

მაშ ასე, გახდება თუ არა იორდანესკუ ბერძენთა ნაკრების თავკაცი და გამოილაშქრებს თუ არა საქართველოზე, შესაძლოა დღესვე გაირკვეს. მაგრამ ელინურ ლაშქრობამდე თავისი სამშობლოს გუნდი ჰყავს მსოფლიოს ჩემპიონატზე წასაყვანი.

შეგახსენებთ, რომ ევროპის ჩემპიონატის მეორე შესარჩევ ჯგუფში ბერძენთა და ქართველთა გარდა არიან ნორვეგიელები, სლოვენიელები, ალბანელები და ლატვიელები.

# გერმანელებს ირანელებიც მოსწონთ

ირანის ნაკრების ნახევარმცველი მე-ჰდი მაჰდავიკია ეტყობა ამ ქვეყნის მოთამაშეთა ევროპული ემიგრაციის მეორე ტალღას ჩაუდგება სათავეში. სავარაუდოდ, ეს მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ მოხდება.

მაჰდავიკია ჯერჯერობით თეირანის „ფირუზიში" გამოდის. იგი ნაკრებთან ერთად, ახლახანს, ჰონკონგის ტურნირში მონაწილეობდა. არაა გამორიცხული, რომ ის მალე გერმანიაში მოთამაშე თანამემამულეებს შეუერთდეს, ყოველ შემთხვევაში, ჩემპიონთა თასის მფლობელმა დორტმუნდის „ბორუსიამ" საამისოდ ნაბიჯი გადადგა. დორტმუნდელები ირანის ფეხბურთის ფედერაციასაც დაუკავშირდნენ და კლუბ „ფირუზისაც".

გერმანულ ბუნდესლიგაში ირანელთაგან უკვე თამაშობენ ალი დაეი, ქარიმ ბაგერი და აზიის წლის საუკეთესო ფეხბურთელი ხოდადად აზიზი, მაშ მაჰდავიკიამ რაღ ველარ უნდა მოიკიდოს ფეხი? ის კი არა, ამბობენ მსოფლიოს პირველობის შემდეგ სამშობლოდან მეკარე ნიმა ნაკისა და ნახევარმცველი ჰამიდ რეზა ესტილიც წავლენო.

ნაკისა მაჰდავიკიას თანაგუნდელია „ფირუზიში", ნაკრებში კი მეორე მეკარედ ჰყავთ. მას თურმე „კიოლნი" უპირებს აყვანას, გუნდი, რომელშიც აზიზი თამაშობს. რაც შეეხება ესტილის, მისით ბელგიური „ანდერლეხტი" დაინტერესებულა, მაგრამ ფეხბურთელის აგენტები თურმე ავსტრიულ კლუბებთან აწარმოებენ მოლაპარაკებებს. „ბაჰმანის" მოთამაშე ამბობს:

— ჩემი მენეჯერი რამდენიმე გუნდთან ცდილობს გარიგებას. ამ გუნდებიდან ერთ-ერთი ვენის „რაპიდია".

ესტილს უცხოეთში თამაშის გარკვეული გამოცდილება უკვე აქვს. მან ორი სეზონი სინგაპურის S ლიგაში გაატარა, „გეილანგ იუნაიტედში" გამოდიოდა. ახლა იგი ამბობს, რომ სიამოვნებით გადავიდოდა ევროპაში.

— მგონი მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ გადავალ. სინგაპურში ორი წლის მანძილზე ბევრი რამ ვისწავლე. ვიცი, საკმაოდ კარგი ფეხბურთელი ვარ და ევროპაში თამაშს შევძლებ — ამბობს ის.

ირანის ნაკრები კი მსოფლიოს პირველობისთვის ემზადება. ჰონკონგის ტურნირზე ნიგერიასთან 2:4 დამარცხების შემდეგ მან ჩილეს 1:1 ეთამაშა, პენალტებით კი მოუგო და მესამე ადგილზე გავიდა. საფრანგეთში ირანელებს გერმანიასთან, აშშ-სთან და იუგოსლავიასთან მოუწევთ თამაში.

# ებრაული ექსპერიმენტი

ისრაელის ეროვნული გუნდი თებერვალში ორ ამხანაგურ შეხვედრას ჩაატარებს. ეს შეხვედრები ებრაელებს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლისთვის მოსამზადებლად სჭირდებათ და შემადგენლობაც ერთობ ექსპერიმენტული ჰყავთ — გუნდში 10 ახალი ფეხბურთელია.

ახალწვეულთაგან რვას ქვეყნის ახალგაზრდულ ნაკრებში აქვს ნათამაშევი, ნახევარმცველი მოტი ოჰაიონი და თავდამსხმელი ლირონ ბასისი კი საკლუბო ფეხბურთს პირველად გასცდნენ. შეკრებაზე გამოძახებული ოცხათხივე მოთამაშე ისრაელის კლუბში თამაშობს.

— ვერ დავეყრდნობი იმ ფეხბურთელებს, რომლებიც დღეს საზღვარგარეთ თამაშობენ, რადგან ისინი ყველა ამხანაგურ შეხვედრაში ვერ მიიღებენ მონაწილეობას. ასე რომ, ახალგაზრდების გამოსაცდელად შესანიშნავი შანსი მეძლევა — თქვა ისრაელელთა თავკაცმა შლომო შარფმა.

როგორც გითხარით, ისრაელის ნაკრები უახლოეს ხანს ორ ამხანაგურ შეხვედრას გეგმავს. ერთი 18 თებერვალს გაიმართება თურქთა ეროვნული გუნდის წინააღმდეგ, მეორე კი ერთი კვირის შემდეგ პოლონელებთან იქნება.

შარფი 1991 წლიდან სათავეში უდგას გუნდს, რომელიც ვერც ევრო 96-ზე გაიყვანა და ვერც საფრანგეთის მსოფლიო პირველობის ფინალურ ეტაპზე. რაც შეეხება ევროპის მომავალ ჩემპიონატს, მასზე მოსახვედრად ებრაელ ფეხბურთელებს მეექვსე შესარჩევ ჯგუფში ესპანეთთან, ავსტრიასთან, კვიპროსთან და სან მარინოსთან მოუწევთ გამარჯვება.

ევროპის პირველობის შესარჩევი შეჯიბრება შემოდგომაზე გაიმართება და იქ შარფს მაინც ლეგიონერებსა და დღეს დაშავებულ რამდენიმე ვეტერანზე მოუწევს დაყრდნობა; ლეგიონერები გახლავან „ბრეშაში" მოთამაშე თალ ბანინი, „სელტას" ჰაიმ რევივო, მადრიდის „ატლეტიკოს" ავი ნიმნი, „ვესტ ჰემის" ეიალ ბერკოვიჩი და „უოტფორდის" ალონ ჰაზანი.

მათ გამოძახებამდე კი შარფის ნაკრებში შევიდნენ: მეკარეები — რაფი კოენი, ნირ დავიდოვიჩი, საგი შტრაუსი. მცველები — ფელიქს ჰალფონი, ასი დომბი, დავიდ ამსალემი, ალონ ჰარაზი, ამირ შელა, არიკ ბენადო, რან ბენ-შიმონი, ნაივან გრაიევი. ნახევარმცველები — ვალიდ ბდირი, მოტი ოჰაიონი, იოსი აბუკსისი, იან ტალასნიკოვი, იტზიკ ზოჰარი, იდან ტალი. თავდამსხმელები — ნირ სივილია, ალონ მიზრაჰი, რონენ ჰარაზი, ლირონ ბასისი, ელი აბარბანელი, ჰაიმ სილვასი, მოტი კაკონი.

მადრიდის „რეალის" მწვრთნელი იუპ ჰაინკესი და მისი ბარსელონელი კოლეგა-მოწინააღმდეგე ლუის ვან გაალი შესაძლოა ესპანური ლიგის უმაღლეს ადგილებს დაეპატრონონ, მაგრამ ეს მძიმე ხვედრს არ შეუმსუბუქებს და ვერც შეუმსუბუქებს. ისინი კრიტიკის წისქვილში იფქვებიან.

რაც საახალწლო არდადეგები ჩამთავრდა, ორივე გუნდმა შესაძლო 15 ქულიდან მხოლოდ ოთხი მოიპოვა და ამით „რეალ სოსიედადს", ბილბაოს „ატლეტიკსა" და მადრიდის „ატლეტიკოს" ჩემპიონობის იმედი ჩაესახათ. არადა, არდადეგებამდე ყველას ეგონა, ქვეყნის პირველობა ორი დაწინაურებული ცხენის დოლად იქცეოდა.

# ესპანური ინკვიზიცია

მადრიდის „სანტიაგო ბერნაბეუზე" ქომაგები ჰაინკესს უყვიროდნენ. „რეალმა" ორშაბათს „ვალენსიასთან" 1:2 წააგო. ლაპარაკი პლაკატი გაეშალათ: „ვარსკვლავები მხოლოდ ცაში კაშკაშებენ." გასაგებია, რისი თქმაც სურდათ, თქვენ „რეალის" ფეხბურთელებო, ვარსკვლავები არ ხართო.

— ხალხმა ძალიან გადააჭარბა. ტყუილად ეგონათ, რომ მსოფლიოს საუკეთესო გუნდი გვყავს — თქვა ჰაინკესმა.

ბოლო დროს კიდევ ორ ფეხბურთელში დახარჯა „რეალმა" მილიონები. ისინი კრისტიან კარემბუ და სავიო ბორტოლინი გახლავან, რომელთაც თვისობრივად ვერაფერი შეცვალეს. კარემბუ „ვალენსიასთან" ცენტრალური მცველი იყო, რადგან ჰაინკესს მთავარ პრობლემად დაცვა მიაჩნია. ის კრისტიან პანუჩის და მანუელ სანჩისის თამაშით უკმაყოფილოა.

— ორი გოლი გავაჩუქეთ. ეს განა მწვრთნელის კრიზისზე არ მიგვითითებს? სხვა რა შეიძლება იყოს? — განრისხდა კლუბის პრეზიდენტი ლორენსო სანსი, მაგრამ მოგვიანებით ჰაინკესთან საუბრის შემდეგ შედარებით დამშვიდდა — სჯობს მუშაობა განვაგრძოთ, მწვრთნელის თანამდებობიდან დათხოვნა მტკივნეულია.

ბევრი კომენტატორი კი სწორედ დათხოვნაზე საუბრობს. მათ მიაჩნიათ, რომ თუ უახლოეს შეხვედრაში „რეალი" „დეპორტივოს" ვერ დაამარცხებს, ჰაინკესს მართლა მოუწევს სამსახურიდან წასვლა.

ვან გაალის მდგომარეობა ამჯერად ოდნავ უკეთესია, რადგან „ბარსელონამ" „რეალს" ერთი ქულით გადაასწრო და თამაშიც აქვს თადარიგში, მაგრამ ის სტილი, რომელიც კატალონიურ გუნდს ბოლო დროს ახასიათებს, ქომაგებს არ მოსწონთ. მათ სუსტ „სპორტინგთან" 2:1 მოგება შეურაცხყოფად მიიღეს და ვან გაალს ცხვირსახოცები უქნიეს, რაც ესპანეთში პროტესტის ნიშანია. ვან გაალმა მოგვიანებით თქვა, „კამპ ნოუს" პუბლიკას ჩემი არ ესმისო. ამაზე მეორე დღეს, ვარჯიშზე უპასუხეს:

„როგორ უნდა გაგიგოთ, როდესაც ესპანურად ვერ ლაპარაკობ?"

გულშემატკივრები „სახლში წადის" გაიძახოდნენ და ვან გაალის თავს ყველს აღარებდნენ. მათი გაღიზიანება ჰოლანდიელი მწვრთნელის მიერ თანამემამულე ფეხბურთელების „ბარსაში" დაგროვებამაც გაამძაფრა. რაიციგერი, ბოგარდი... მალე კოკუ „ეინდჰოვენთან".

გაზეთ „სპორტის" მესვეტემ ხოსე ასანოვასმა ისიც კი დაწერა, ვან გაალი გუნდის ერთსულოვნებას არღვევსო.

„ჩვენ თუ არ აღვუდექით, მომავალ სეზონში ოთხი ჰოლანდიელი ფეხბურთელი გვეყოლება — სამუელ პლუს რონალდ და ფრანკ დე ბურები, [illegible] — წერს ის.

მაგრამ ვინ უნდა მოხსნას ვან გაალი? პრეზიდენტმა ნუნესმა, რომელიც თავად კრიტიკის ობიექტი გახდა? თანამდებობაზე 19 წლის მუშაობის შემდეგ მას ოპოზიციონერებმა [illegible]. ყველაფერი 7 მარტს გაირკვევა, როცა „ბარსელონის" პრეზიდენტის არჩევნები დაინიშნება. თან იმ დღეს „ბარსა" „რეალს" ეთამაშება.

# კი მაგრამ, ზამერი?

გერმანიის ნაკრების მწვრთნელმა ბერტი ფოგთსმა დაასახელა 40 ფეხბურთელი, რომელთაგან იგი მსოფლიოს ჩემპიონატზე წასაყვან გუნდს შეადგენს. ყველაზე უცნაური ის გახლავთ, რომ ამ ხალხში ბუნდესმწვრთნელმა არ შეიყვანა დორტმუნდის „ბორუსიას" ლიბერო, 1996 წლის ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი მათიას ზამერი, თუმცა ტრავმირებული ვარსკვლავისთვის ნაკრების კარი ცხვირწინ არ მიუჯახუნებია.



მათიას ზამერმა, შესაძლოა, მსოფლიოს ჩემპიონატი გამოტოვოს

ყველა ის მოთამაშე, ვინც გერმანულ კლუბებში თამაშობს, [illegible] საგულდაგულო სამედიცინო შემოწმებას გაივლის. უცხოეთში დაბანაკებული უკვე გამოკვლეულნი არიან.

— საფრანგეთში წასაყვანად მნიშვნელოვანი ორი რამ იქნება, ეროვნული ჩემპიონატის მატჩებში კარგი თამაში და პიროვნული თვისებები — თქვა ფოგთსმა.

40 კაცში მოხვედრამ უთუოდ წაახალისა ის მოთამაშეები, რომელთაც ეროვნულ გუნდში არასდროს უთამაშიათ. ასეთები გახლავან „ლევერკუზენის" კარსტენ რამელო, მიუნხენის „ბაიერნის" კარსტენ იანკერი და კიდევ რამდენიმე, მაგრამ ნაკლებად ცნობილი ფეხბურთელი.

ბუნდესმწვრთნელმა განაცხადა, რომ სიამოვნებით აიყვანდა ზამერსაც, მაგრამ გდრ-ის ნაკრების წევრყოფილს ტრავმის გამო ამ სეზონში ხეირიანად კლუბშიც არ უთამაშია.

ფოგთსის სიაში შედიან: მეკარეები — ოლივერ კანი (ბაიერნი), შტეფან კლოსი (დორტმუნდი), ანდრეას კეპკე (მარსელი, საფრანგეთი), იენს ლემანი (შალკე). მცველები — მარკუს ბაბელი (ბაიერნი), თომას ჰელმერი (ბაიერნი), იურგენ კოლერი (დორტმუნდი), თომას ლინკე (შალკე), იენს ნოვოტნი (ლევერკუზენი), კარსტენ რამელო (ლევერკუზენი), მარკო რემერი (ჰანზა), შტეფან როიტერი (დორტმუნდი), თომას შნაიდერი (შტუტგარტი), ოლაფ ტონი (შალკე), კრისტიან ვიორნსი (ლევერკუზენი). ნახევარმცველები — იორგ ალბერტცი (რეინჯერსი, შოტლანდია), მარიო ბასლერი (ბაიერნი), მარკო ბოდე (ვერდერი), დიტერ აილტსი (ვერდერი), შტეფან ფროინდი (დორტმუნდი), თომას ჰესლერი (კარლსრუე), დიტმარ ჰამანი (ბაიერნი), იორგ ჰაინრიხი (დორტმუნდი), იენს იერემიესი (მიუნხენ 1860), სვენ კმეტჩი (ჰამბურგი), ანდრეას მიოლერი (დორტმუნდი), კრისტიან ნერლინგერი (ბაიერნი), ლარს რიკენი (დორტმუნდი), მეჰმეთ შოლი (ბაიერნი), თომას შტრუნცი (ბაიერნი), მიხაელ ტარნატი (ბაიერნი), დარაუშ ვოში (ბოხუმი), კრისტიან ციგე (მილანია. თავდამსხმელები — ოლივერ ბირჰოფი (უდინეზე, იტალია), ფრედი ბობიჩი (შტუტგარტი), კარსტენ იანკერი (ბაიერნი), ულფ კირსტენი (ლევერკუზენი), იურგენ კლინსმანი (ტოტენჰემ ჰოტსპური, ინგლისი), შტეფან კუნცი (არმინია), ოლაფ მარშალი (კაიზერსლაუტერნი).

# ბილეთმა ჩხუბი იცის

ალბათ, არასდროს ყოფილა საფრანგეთში ბილეთებზე ისეთი ამბავი, როგორც ეხლა. მსოფლიოს ჩემპიონატზე დასასწრები ბილეთები ჯერ არ დაბეჭდილა, ტურნირის მონაწილეები კი საორგანიზაციო კომიტეტის გადაწყვეტილებას უჩივიან, აქაოდა, ბილეთების არასაკმარისი რაოდენობა გამოგვიყავითო.

ფიფას დებულებით მსოფლიოს ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტი ვალდებულია, ტურნირზე დასასწრები ყველა მატჩის ბილეთების მთლიანი რაოდენობის მხოლოდ 20 პროცენტი გაანაწილოს მონაწილეთა ფეხბურთის ფედერაციებზე, დანარჩენი კი ფიფაში შემავალი ქვეყნების და მასპინძელი ანუ საფრანგეთის ფედერაციებსა და ჩემპიონატის სპონსორებზე.

ზაფხულში საფრანგეთი ფეხბურთის ისტორიაში უდიდეს მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლებს. ქვეყნის 10 სტადიონზე არც მეტი, არც ნაკლები, 32 გუნდი ითამაშებს. ეს კი ადრე გამართულ ჩემპიონატზე რვა გუნდით მეტია. ცხადია, გუნდების რაოდენობრივ ზრდას პრობლემების გამრავლებაც თან სდევს, ჯერჯერობით კი ბილეთების განაწილების გარდა საორგანიზაციო კომიტეტს სხვა რაიმე დიდი საზრუნავი [illegible]

[illegible] ჯერ მეტი გულშემატკივარი უნდა მისულიყო, ისიც მხოლოდ ერთი ქვეყნიდანო. „ჩვენთან ყველაზე დიდი სტადიონი 80 ათასიანია. უმეტესობა 50 ათას მაყურებლამდე იტევს, ეს კი გულშემატკივართა მოზღვავებულ რაოდენობასთან შედარებით ძლიერ მცირეა. უბრალოდ, წარმოიდგინეთ, 50 ათასიან სტადიონზე მისული 160 ათასი გულშემატკივარი, ისიც მხოლოდ ერთი ქვეყნიდან," — თქვა ფედერაციების თხოვნებისგან შეწუხებულმა დელეიმ.

იგი თავად მასპინძლების პრობლემასაც შეეხო. როცა ფრანგი ბილეთს ვერ იშოვის და ეცოდინება, რომ სხვა ქვეყნის გულშემატკივარს რამდენიმე აქვს, თავს დაჩაგრულად იგრძნობსო. ვერაფერს იტყვი, სრული ჭეშმარიტებაა. რაც არ უნდა ამტკიცონ, სტუმრებს დიდ პატივს ვცემთო, უეჭველია, ასეთ შემთხვევაში ფრანგებისა და სტუმრების ურთიერთობები ცოტა არ იყოს გართულდება.

სხვათა შორის, საფრანგეთში, მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოს ყველაზე დიდი ჩემპიონატი გაიმართება, მაინც რამდენიმე ასეული ათასით ნაკლები ბილეთი გაიყიდება, ვიდრე მსოფლიოს ბოლო ჩემპიონატზე აშშ-ში. არა, აქ გასაღების პრობლემა არ დგას, უბრალოდ, [illegible]

კრისტიან გალმიე,
როიტერი

ჭიდაობა

# ხმის ამომღები არავინ იყო...

ქართველ სპორტსმენთაგან წელს ფალავნებმა გახსნეს ახალი სპორტული სეზონი: ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეებმა საქართველოს ჩემპიონატი გამართეს, მერე კი პირველ უცხოურ ტურნირზე თავისუფალი სტილით მოჭიდავეებმა — დავით პოლოსიანმა და ელდარ კურტანიძემ იასპარეზეს კრასნოიარსკში. ლეგენდარული რუსი ფალავნის ივან იარიგინის სახელობის ტურნირს ჩვენებურები მუდმივად სტუმრობენ. შარშანაც სწორედ კურტანიძე და პოლოსიანი გახდნენ ამ შეჯიბრების გამარჯვებულნი, წელს კი დათომ ოქროს მედალი მოიგო, ხოლო ელდარი ბრინჯაოს დასჯერდა.

დათო პოლოსიანმა პირველ წრეში აზერბაიჯანელი არიფ აბდულაევი მართლა გააარიფა — 6 ქულა აართვა მეტოქეს და ხელის განძრევის საშუალება არ მისცა. შემდეგ ყაზახ მამბეტოვს აჯობა ასევე მშრალი ანგარიშით — 3:0. მერე დათომ თავისი მუდმივი მეტოქე, უკრაინელი სენიუკი გაანადგურა 7:1 და ფინალში გავიდა, სადაც დაღესტნელ უმახანოვთა დინასტიის ერთ-ერთი წარმომადგენელი, მურადი დახვდა. უმახანოვები 4 ძმანი არიან, ოთხივე თავისუფალს ჭიდაობს და, მათდა ჭირად, ოთხივე 58 კილოში. პოლოსიანიც მორიგეობით ხან ერთ უმახანოვს უგებს, ხან მეორეს... ამჯერად გორელ ფალავანს უფროსი ძმის მომყოლი მურადი „ემსხვერპლა". ფინალს დათო 3 ქულით იგებდა, მაგრამ მეტოქემ საკუთარ ილეთზე დაიჭირა და 3 ქულა აართვა. ამის შემდეგ მოჭიდავეებმა ქულები გაცვალეს და დათო პოლოსიანიც ტურნირის გამარჯვებული გახდა.

ელდარ კურტანიძის ნიჭზე აღარ ღირს საუბარი — კაცი რომ ორჯერ ევროპის ჩემპიონატსა და ოლიმპიურ ბრინჯაოს მოიგებს, უკვე სახელიანი მოჭიდავე უნდა ეწოდოს. მაგრამ იშვიათია შეჯიბრება, რომ ელდარს ერთხელ მაინც რაიმე განსაკუთრებული და მოულოდნელი რამ არ შეემთხვას — თუნდაც ოლიმპიადაზე, ანაც შარშანდელ მსოფლიოს ჩემპიონატზე, სადაც უიღბლობამ ბრინჯაოს მედლებს დააჯერა.

ელდარ კურტანიძე იარიგინის ტურნირის ფავორიტად ითვლებოდა. პირველი შეხვედრა დამაჯერებლად მოუგო ყაზახ ბაირამუკოვს, მეორე წრეში კი რუსეთის წარმომადგენელს, შარშანდელ მსოფლიოს ჩემპიონს მაგომედოვს შეხვდა. 8 წუთში მხოლოდ თითო ქულა დათმეს ფალავნებმა, შეხვედრა ფრედ დამთავრდა, მაგრამ ორიდან ერთ სპორტსმენს ხომ უნდა გაეგრძელებინა ბრძოლა. მსაჯებმა მაგომედოვი ირჩიეს, კურტანიძე გააფრთხილეს და ხელი მის მეტოქეს აუწიეს, არადა, თურმე კურტანიძის უპირატესობა იმდენად აშკარა ყოფილა, მსაჯებს რომ სამართლიანად ემსაჯათ, ელდარს ორ ქულას არ დაამადლიდნენ და საქმე არც მაგომედოვის სათუო გამარჯვებამდე მივიდოდა. ასე თუ ისე, მსაჯთა უსამართლობით ელდარმა ჩემპიონობის შანსი აქ დაკარგა, შემდეგ კი მოიგო 4 შეხვედრა, მესამე ადგილისთვის ბრძოლაში კი უკრაინელ მურთაზალიევს სძლია და ბრინჯაოს მედალს დაეუფლა.

მაგომედოვთან უსამართლო მარცხის შემდეგ თავად რუსებს უთქვამთ ელდარ კურტანიძისთვის, გააპროტესტე ეგ შეხვედრა, იმდენად აშკარად დაჯაბნე ჩვენიანი, რომ კომისია გააუქმებს შედეგს და გამარჯვებული შენ დარჩებიო, მაგრამ სად იყო კრასნოიარსკში პროტესტის შემტანი? პოლოსიანი და კურტანიძე მარტოდმარტო, უპატრონოდ ჩაიდნენ კრასნოიარსკში, დათო თბილისიდან, ელდარი — გერმანიიდან, თანაც საკუთარი სახსრებით. სპორტის დეპარტამენტმა შესაძლებლობა ვერ გამონახა, რომ შარშანდელივით, როგორც წესი და რიგია, სრული გუნდი გაეგზავნა მცირე მსოფლიოს ჩემპიონატად წოდებულ საერთაშორისო ტურნირზე. სრულ გუნდს ვინ ჩივის, არც საქართველოს ნაკრების უფროსი მწვრთნელი ზაზა თურმანიძე, არც პოლოსიანისა და კურტანიძის აღმზრდელები — ნუგზარ სხირელი და გია გალდავა დასწრებიან ამ შეჯიბრებას. არადა, მოკრივეებთან ერთად წელს სწორედ მოჭიდავეთაგან ველით ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატების მედლებს, თითოეულ ტურნირზე ლირსეული ასპარეზობა კი ამ მედლებთან მიახლოების საშუალებაა.

კრასნოიარსკში დაფუძნებულა მოჭიდავე ლევან ებანოიძე და ასევე ყოფილი ჩვენებური მოჭიდავის, ვლადიმერ მოდოსიანის ძმიშვილი ჯონი. ისინი ამოსდგომიან მხარში თანამემამულეთ. ორკაციანი ქართული დელეგაციის ხელმძღვანელობაც მათ უკისრიათ, მწვრთნელობაც, მასაჟისტობაც და ფსიქოლოგობაც. თუმცა, დათოს და ელდარს მაინც არ მოჰკლებიათ წინ და უკან სირბილი და ათასი წვრილმანი პრობლემის საკუთარი ენერგიის ხარჯზე მოგვარება, მაშინ, როცა ეს ენერგია სახალიჩოდ უნდა შეენახათ.

თავად კრასნოიარსკის ტურნირი კვლავინდებურად მაღალ დონეზე ჩატარებულა, მაგრამ დაკვირვებული თვალისთვის იოლი მისახვედრი ყოფილა, რომ წელს მას აკლდა ახლახან გარდაცვლილი ივან იარიგინის ხელი, რაც ამ შეჯიბრებას უდავოდ შეულახავს პრესტიჟს. ამის ნათელსაყოფად ერთი ფაქტის მოხმობაც კმარა: შარშან ტურნირს საკმაოდ სოლიდური საპრიზო ფონდი ჰქონდა — ჩემპიონებს ხუთ-ხუთი ათასი დოლარი გადასცეს, წელს კი გამარჯვებულები ოქროთი მოვარაყებულ ბრინჯაოს ლამაზ თასებსა და მოოქროვილ მედლებს დააჯერეს.

**ლევან ჯაგახიშვილი**

კრივი

# გამოუშვით ეგ თქვენი ჰოლიფილდი



ლენოქს ლუისი

ლენოქს ლუისი, რომელმაც შარშანდელ ოქტომბერს თავის ბოლო მატჩში წელსქვემოთა დარტყმებზე დაგეშილი პოლონელი ენდრიუ გოლოტა 95 წამში ნოკაუტით დაამარცხა, WBC-ის ვერსიით თავის ტიტულს 28 მარტს, ატლანტიკ სიტიში შენონ ბრიგსთან ბრძოლაში დაიცავს. 30 წლის ინგლისელს მიზნად ევანდერ ჰოლიფილდთან ტიტულების გამაერთიანებელი შეხვედრა დაუსახავს, ბრიგსთან კი მორიგ იოლ გამარჯვებას ელის: „ჩემი მისია ჯერაც არ დასრულებულა, ბრიგსი, უბრალოდ, კიდევ ერთი მეტოქეა, რომელიც მათ მომიგდეს. მასაც ისეთ დღეს დავაყრი, რაც გოლოტას დავმართე". ლუისის მეტოქემ 31 შეხვედრიდან მხოლოდ ერთი წააგო, თუმცა ბოლო მატჩი ბებერ ჯორჯ ფორმენთან მსაჯთა მეტად საეჭვო გადაწყვეტილებით მოიგო და ამ ამბავს ახლა ნიუ ჯერსის კრივის კომისია უკირკიტებს. ლუისის თქმით, მას უნახავს ეს ბრძოლა, რომელშიც გამარჯვება ფორმენს ეკუთვნოდა, ბრიგსი კი აშკარად მოიკოჭლებდა. ლუისის პრომოუტერი ფრენკ მელოუნი პრესკონფერენციაზე ყველას დაპირდა, რომ წლის ბოლომდე ლენოქსსა და WBA-სა და IBF-ის ჩემპიონ, ევანდერ ჰოლიფილდს უცილობლად დააჯახებდა და ამას მოლაპარაკების დასაწყისში ფულის თაობაზე წარმოქმნილი უთანხმოებებიც ვერ დაუდგებოდა წინ: „ჰოლიფილდთან შეხვედრა არასოდეს გამოგვირიცხავს. ბრძოლა წელს მოეწყობა და თან ჰოლიფილდ — ტაისონ III-მდე". ჰოლიფილდთან შერკინება თავად ლუისსაც გარდაუვლად მიაჩნია, კი ბატონო, შეახვედრონ ტაისონს, შეახვედრონ ზოგ სხვასაც, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, მაინც ვერსად გამექცევაო. აქვე მელოუნს ტაისონისა და მისი პრომოუტერის, თავფაფარა დონ კინგის ურთიერთობაზე დაუსვეს არაორაზროვანი კითხვა, რაზეც მან თავშეკავებულად უპასუხა, ტაისონს კინგთან პრომოუტერული კონტრაქტი აკავშირებს და მისი ხელაღებით გაწყვეტა როგორ იქნებაო.

ლუის-ბრიგსის ორთაბრძოლის დღესვე შედგება მატჩი ზე-საშუალო წონის მოკრივეებს შორის, რომელშიც ჰეროლ გრეჰემი IBF-ის ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონ ჩარლზ ბრიუერისათვის ტიტულის წართმევას შეეცდება.

კალათბურთი

# იფიქრეთ მომავალზე

საქართველოს მე-7 ჩემპიონატი
ვერის ბაღი.

**გამოტოვებული მატჩები**

3 თებერვალი

**შევარდენი 87:75 კოლხა**

**შევარდენი: ორჯონიკიძე (17), კაზანჯიანი (24), მაჭავარიანი (9), გიგაური (29), ღვინეფაძე (4); არსიაშვილი (2), ოქრუაშვილი (2)**

**კოლხა: ქვილითაია (23), თოდუა, კვაჭაძე (16), უგრეხელიძე (18), ცქიტიშვილი; აბულაძე, არველაძე (14), ვაშაკიძე (4)**

**ასკ 97:89 მერანი**

**ასკ: ქართველიშვილი (13), ჩხაიძე (8), ჭყონია (22), თაბუაშვილი (11), მინაშვილი (26); მჭედლიშვილი (2), აკულაშვილი, ნუცუბიძე (2)**

**მერანი: ფაჩულია (26), მარხვაშვილი (12), მარკოიშვილი (22), სანიკიძე (8), ჩაჩლეიშვილი (21); ფანჯიკიძე, ჩაჩუა, ნათობიძე, ღვინიაშვილი, მთვარაძე, ლაცაბიძე**

ამ მატჩებით დასრულდა „მერანისა" და "კოლხას" გამოტოვებული მატჩების სერია. ამ თამაშებით სატურნირო ცხრილში ბევრი არაფერი შეცვლილა. ორივე გუნდმა ყველა მეტოქესთან დათმო მატჩები (ბოდიშს გიხდით იმის გამო, რომ „სარბიელის" წინა ნომერში არასწორი ინფორმაცია მოგაწოდეთ სტუ — „კოლხას" შეხვედრაზე. ეს მატჩი სტუდენტებმა მოიგეს 76:70 და არა „კოლხამ" და მათმა მეტოქეებმაც ორ-ორი ქულა მიითვალეს).

დღეიდან გუნდები პირველობის მეორე წრის მეორე ტურის მატჩებს იწყებენ და გამოავლენენ რვა უძლიერესს, რომლებიც პლეი-ოფში მოხვდებიან. სამწუხაროა, რომ მეორე წრის მეორე ტურის მატჩებზე, როგორც ჩანს, არ ჩამოდიან ქუთაისელები. ნუთუ ქუთაისს არ ძალუძს, რომ მათმა გუნდმა ერთი პირველობა მაინც მიიყვანოს ბოლომდე?..

რაც შეეხება სატურნირო მდგომარეობას, პლეი-ოფში ექვს გუნდს უკვე განაღდებული აქვს ადგილი. მთლად მყარად ვერ გრძნობენ თავს „მაკაბი" და „შევარდენი". თუმც ძნელი სავარაუდოა, რომ მათმა უახლოესმა მეტოქემ — საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდმა ეს სხვაობა დაძლიოს.

პლეი-ოფის მეოთხედფინალში გუნდები ამგვარად წყვილდებიან: პირველ ადგილზე მყოფი მერვე ადგილზე გასულს შეერკინება, მეორე — მეშვიდეს, მესამე — მეექვსეს და მეოთხე — მეხუთეს. აქედან გამომდინარე, ლიდერთა ხუთეულს ამოცანად რჩება, არ მოხვდეს მეოთხე-მეხუთე ადგილზე, რადგან მაშინ მას მეოთხედფინალში ძლიერ მეტოქესთან მოუწევს შეხვედრა, სამეულში მოხვედრილს კი, ალბათ, არ გაუჭირდება მეოთხედფინალური ზღვარის გადალახვა — 8 გუნდიდან სამი ხომ აშკარად ჩამოუვარდება ხუთეულს.

ეს პრობლემა არ აწუხებთ მარტო რუსთაველებს. „აზოტი" ამ სეზონში შესანიშნავად თამაშობს, დაუმარცხებლად და, რა თქმა უნდა, გამორიცხულია, რომ სამეულის მიღმა დარჩეს.

რაც შეეხება დანარჩენ ოთხ გუნდს, სდასუ-ს, „დინამოს", „ვითასა" და „თსუ-ს, მათ შორის მძაფრი ბრძოლა გაჩაღდება სამ საუკეთესო მოსახვედრად.

გარკვეული ამოცანა აქვთ მე-9-13 ადგილებზე გასულ გუნდებს (თუ ბოლოს და ბოლოს ქუთაისელები შემოუერთდნენ პირველობას). ისინი იბრძოლებენ 10 საუკეთესოში მოსახვედრად, რომელთაგან, როგორც მოსალოდნელია, გაისად უმაღლესი ლიგა უნდა შეიქმნას. აქ ყველაზე ცუდი მდგომარეობა აქვთ ქუთაისელებს, „კოლხასა" და „მერანს", რომელთაც, სამივემ ერთად, ვერც ერთ მაღლა მდგომ მეტოქეს ვერ გამოსტყუეს გამარჯვება. მოკლედ, ჩემპიონატის ფინიშზე არაერთი საინტერესო შეხვედრის მოწმე გავხდებით. დღეისთვის კი სატურნირო ცხრილი ასე გამოიყურება:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | აზოტი | 18 | 18 | 0 | 1894:1433 | 36 |
| 2. | დინამო | 18 | 14 | 4 | 1833:1457 | 32 |
| 3. | სდასუ | 17 | 14 | 3 | 1641:1270 | 31 |
| 4. | ვითა | 17 | 14 | 3 | 1563:1425 | 31 |
| 5. | თსუ | 18 | 13 | 5 | 1695:1495 | 31 |
| 6. | ასკ | 18 | 10 | 8 | 1555:1725 | 28 |
| 7. | მაკაბი | 18 | 8 | 10 | 1494:1553 | 26 |
| 8. | შევარდენი | 17 | 8 | 9 | 1493:1500 | 25 |
| 9. | სტუ | 17 | 6 | 11 | 1407:1508 | 23 |
| 10. | დინამო 2 | 17 | 5 | 12 | 1301:1530 | 22 |
| 11. | რიონი | 17 | 2 | 15 | 1162:1652 | 19 |
| 12. | კოლხა | 17 | 1 | 16 | 1362:1575 | 18 |
| 13. | მერანი | 17 | 0 | 17 | 1140:1737 | 17 |

მეორე წრის მეორე ტურის შეხვედრები 16 თებერვლამდე გასტანს.

რეგულარული ჩემპიონატი

# ნიუ იორკი ძალიან დაიჩაგრა

NBA

2 თებერვალი

**დენვერი 72:111 ჩიკაგო**

**დენვერი: ნიუმენი (19)**

**ჩიკაგო: ბარელი (24), პიპენი (19)**

დენვერმა 17 171 ქომაგს მოლოდინი გაუცრუა და სასტიკად დამარცხდა ჩემპიონთან. მოგებას ვინლა ჩიოდა, კოლორადოელებმა, ფაქტობრივად, წინააღმდეგობაც კი ვერ გაუწიეს მეტოქეს და აკი 29-ქულიანი სხვაობითაც წააგეს. დენვერელებმა ფარიც გვარიანად დათმეს 33:55 და შედეგიან გადაცემებშიც ძალიან — 14:24 ჩამორჩნენ. მათგან ყველაზე შედეგიანი, უკვე მერამდენედ, სათადარიგო ჯონ ნიუმენი იყო, ხუთეულის წევრთაგან კი მხოლოდ ლეაფოლსო ელისმა მოინაგრა ქულათა ორნიშნა (13) ოდენობა. ჩიკაგომ კი თავიდანვე მოითავა საქმე და ძირითადი მოთამაშეები დაასვენა, სათადარიგოთაგან კი ბარელმა 24 და კაფიმ 12 ქულა შეაწიეს თავისიანებს. ჩიკაგომ სროლების ზუსტად ნახევარი ჩააგდო, მეტოქეს კი 35 პროცენტი ჩააგდებინა.



მაიამი — ატლანტა. ალონზო მურნინგი (შუაში) ატლანტელთა დაცვის გარღვევას ცდილობს

**დალასი 104:90 ვანკუვერი**

**დალასი: ფინლი (30+12 მოხსნა), სტრიკლენდი (21)**

**ვანკუვერი: რივზი (19+10 მოხსნა)**

**კლივლენდი 109:99 მინესოტა**

**კლივლენდი: ჰენდერსონი (24), ილგაუსკასი (19+10 მოხსნა)**

**მინესოტა: მარბერი (27), პორტერი (20)**

კლივლენდის ახალბედა თავდამსხმელ სედრიკ ჰენდერსონს სხვა ახალბედებმაც — ილგაუსკასმა და ნაითმა (14 პასი) აუბეს მხარი, შონ კემპმაც (16+12 მოხსნა) გამოიღო ხელი და კლივლენდმა პირველი ნახევარი 14 ქულით მოიგო. ამ სხვაობის დაძლევა მინესოტამ ვერაფრით შეძლო.

**ფილადელფია 97:106 ფინიქსი**

**ფილადელფია: აივერსონი (30), ჯეკსონი (22)**

**ფინიქსი: ჩეპმენი (29), მაკდაიესი (22+13 მოხსნა)**

ფილადელფიასთან თამაშისას ფინიქსში დაბრუნდა მისი ერთ-ერთი ლიდერი კევინ ჯონსონი, ვინაც მუხლის ოპერაციის გამო 31 თამაში გამოტოვა. ჯონსონმა მოედანზე 20 წუთი დაჰყო და 6 ქულას დასჯერდა. მიუხედავად ამისა, ამ დღეს ფინიქსელთაგან საუკეთესომ რექს ჩეპმენმა თქვა, ჩვენი გუნდი უკევინოდაც კარგია, მაგრამ მისიანად მაინც სულ სხვააო.

**მაიამი 90:83 ატლანტა**

**მაიამი: მურნინგი (22+17 მოხსნა)**

**ატლანტა: ბლეილოკი (20), მუტომბო (14+12 მოხსნა)**

3 თებერვალი

**კლიპერსი 111:102 იუტა**

**კლიპერსი: რობინსონი (25), როჯერსი (22), რაიტი (17+15 მოხსნა)**

**იუტა: მელოუნი (23), სტოქტონი (22+10 პასი), ჰორნაჩეკი**

**პორტლენდი 98:97 ნიუ ჯერსი**

**პორტლენდი: საბონისი (24+11 მოხსნა), უოლესი (23+10 მოხსნა)**

**ნიუ ჯერსი: კიტლზი (24), ვან ჰორნი (21)**

პორტლენდმა ბოლო მეოთხედში 12-ქულიანი უპირატესობა გაანიავა და ლირსიც იყო, დამარცხებულიყო. მატჩის დამთავრებამდე 2,8 წამით ადრე პორტლენდელები სემ კასელზე დაჯარომდნენ, ამ დროს ანგარიში 98:96 იყო, კასელი კი დაიბნა და ორიდან ერთი ჩააგდო.

**გოლდენ სტ. 96:105 სან ანტონიო**

**გოლდენ სტეიტი: მარშალი (23+11 მოხსნა), დელკი (21)**

**სან ანტონიო: დანკანი (34+14 მოხსნა), რობინსონი (23)**

ტიმ დანკანმა 34 ქულით კარიერის რეკორდი დაიმყარა და თავის გუნდს ზედიზედ მეხუთედ მოაგებინა.

**საკრამენტო 93:115 ინდიანა**

**საკრამენტო: რიჩმონდი (24)**

**ინდიანა: სმიტსი (18)**

**მილუოკი 82:78 ნიუ იორკი**

**მილუოკი: ბრენდონი (20)**

**ნიუ იორკი: ჰიუსტონი (21), ჯონსონი (20)**

ამ სეზონში მილუოკი არც შინ ახარებს ნიუ იორკს და არც სტუმრად. ესენი პირველად 20 დეკემბერს გადაეყარნენ ერთმანეთს მილუოკიში და მაშინ მასპინძლებმა 98:78 მოიგეს. იმ ხანად ნიუ იორკის ბოლო წლების საუკეთესო მოთამაშე პატრიკ იუინგი უკვე ტრავმირებული იყო. მეორე შეხვედრა ნიუ იორკში „მედისონ სკვერ გარდენში" გაიმართა 29 იანვარს და კვლავ მილუოკიმ იმარჯვა, ოღონდ ოვერტაიმში 115:112. მათი ბოლო შეხვედრა კვლავ ნიუ იორკში გაიმართება 26 თებერვალს და იქ გამოჩნდება, დაუძვრება თუ არა ნიუ იორკი 0:4-ს.

**ჰიუსტონი 110:97 ვანკუვერი**

**ჰიუსტონი: ბარკლი (25+15 მოხსნა), უილისი (20+10 მოხსნა), დრექსლერი (20)**

**ვანკუვერი: აბდურ-რაჰიმი (30)**

ჰიუსტონს დაუბრუნდა მუხლის ტრავმამოშუშებული ცენტრი ჰაკიმ ოლაჯუონი, ვინაც 33 მატჩი გამოტოვა. ვანკუვერთან მან 19 წუთი ითამაშა და 7 სროლიდან 5 ჩააგდო, სულ კი 10 ქულა და 6 მოხსნა მიითვალა.

**ორლანდო 91:90 ატლანტა**

**ორლანდო: ოუთლოო (23+17 მოხსნა)**

**ატლანტა: სმიტი (18)**

**შარლოტი 93:89 ბოსტონი**

**შარლოტი: გეიგერი (24)**

**ბოსტონი: უოლკერი (23+16 მოხსნა), ბრაუნი (20)**

**ტორონტო 105:110 ფინიქსი**

**ტორონტო: კრისტი (24), უილიამსი (24)**

**ფინიქსი: მაკდაიესი (24+14) მოხსნა**

ფინიქსმა ზედიზედ მეოთხედ მოიგო. ფინიქსელთაგან ბევრია აღნიშვნის ღირსი. მაკდაიესის გარდა კიდევ სამმა მოინაგრა 20 ქულაზე მეტი: ჩეპმენმა — 23, ჯეისონ კიდმა — 22 და 18 პასი და კლიფ რობინსონმა — 20 ქულა.

**ირაკლი ფირაშვილი**

**აღმოსავლეთის კონფერენცია**

ატლანტის დივიზიონი

| | | | |
|---|---|---|---|
| მაიამი | 28 | 17 | 62,2 |
| ნიუ იორკი | 25 | 20 | 55,6 |
| ნიუ ჯერსი | 26 | 21 | 55,3 |
| ვაშინგტონი | 24 | 23 | 51,1 |
| ორლანდო | 22 | 25 | 46,8 |
| ბოსტონი | 21 | 25 | 45,7 |
| ფილადელფია | 14 | 30 | 31,8 |

ცენტრალური დივიზიონი

| | | | |
|---|---|---|---|
| ინდიანა | 33 | 12 | 73,3 |
| ჩიკაგო | 34 | 14 | 70,8 |
| შარლოტი | 28 | 18 | 60,9 |
| კლივლენდი | 27 | 18 | 60,0 |
| ატლანტა | 28 | 20 | 58,3 |
| მილუოკი | 24 | 22 | 52,2 |
| დეტროიტი | 21 | 25 | 45,7 |
| ტორონტო | 10 | 36 | 21,7 |

**დასავლეთის კონფერენცია**

შუა დასავლეთის დივიზიონი

| | | | |
|---|---|---|---|
| სან ანტონიო | 34 | 14 | 70,8 |
| იუტა | 30 | 15 | 66,7 |
| მინესოტა | 25 | 20 | 55,6 |
| ჰიუსტონი | 22 | 23 | 48,9 |
| ვანკუვერი | 13 | 35 | 27,1 |
| დალასი | 9 | 36 | 20,0 |
| დენვერი | 4 | 41 | 8,9 |

წყნარი ოკეანის დივიზიონი

| | | | |
|---|---|---|---|
| სიეტლი | 36 | 10 | 78,3 |
| ლეიკერსი | 33 | 11 | 75,0 |
| ფინიქსი | 31 | 14 | 68,9 |
| პორტლენდი | 26 | 19 | 57,8 |
| საკრამენტო | 19 | 28 | 40,4 |
| კლიპერსი | 11 | 37 | 22,9 |
| გოლდენ სტეიტი | 8 | 37 | 17,8 |

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

### გერმანიის ჩემპიონატი. ბუნდესლიგა. XXII ტური

6 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| დუისბურგი — კარლსრუე | 1,7 | 3,0 | 3,8 |
| კაიზერსლაუტერნი — ბოხუმი | 1,15 | 4,7 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 2,7 |

7 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| არმინია — მიუნხენი 1860 | 1,7 | 3,0 | 3,8 |
| ლევერკუზენი — ვერდერი | 1,4 | 3,3 | 5,6 |
| 0:1 | 2,2 | 3,2 | 1,9 |
| დორტმუნდი — შტუტგარტი | 1,8 | 2,9 | 3,4 |
| ბაიერნი — ჰანზა | 1,2 | 4,2 | 8,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 2,7 |
| ჰამბურგი — ჰერტა | 1,9 | 2,9 | 3,1 |
| მიონჰენგლადბახი — შალკე | 2,5 | 2,7 | 2,3 |

8 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ვოლფსბურგი — კიოლნი | 1,7 | 2,9 | 4,0 |

### ინგლისის ჩემპიონატი. პრემიერლიგა. XXV ტური

7 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ლესტერი — ლიდსი | 2,1 | 2,8 | 2,8 |
| ბარნსლი — ევერტონი | 2,4 | 2,6 | 2,4 |
| ბლექბერნი — ტოტენჰემი | 1,4 | 3,2 | 6,0 |
| 0:1 | 2,2 | 3,2 | 1,9 |
| დერბი — ასტონ ვილა | 1,5 | 3,0 | 5,3 |
| ქოვენთრი — შეფილდ უენსდეი | 1,8 | 2,8 | 3,6 |
| ლივერპული — საუთჰემპტონი | 1,15 | 4,7 | 9,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,2 | 3,0 |
| მანჩესტერ იუნაიტედი — ბოლტონი | 1,1 | 5,3 | 10,0 |
| 0:1 | 1,4 | 3,2 | 4,0 |
| ნიუკასლი — ვესტ ჰემი | 1,3 | 3,6 | 6,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,0 |

8 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| არსენალი — ჩელსი | 2,0 | 2,7 | 3,1 |

9 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| კრ. პალასი — უიმბლდონი | 2,0 | 2,9 | 2,9 |

### ინგლისის ჩემპიონატი. პირველი დივიზიონი. XXX ტური

7 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბირმინგემი — მიდლსბრო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| ბრედფორდი — ჩარლტონი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| ბერი — პორტ ვეილი | 2,0 | 2,8 | 3,0 |
| ჰადერსფილდი — სტოკპორტი | 2,4 | 2,6 | 2,4 |
| ნორვიჩი — მანჩესტერ სიტი | 2,0 | 2,8 | 3,0 |
| პორტსმუთი — ნოტინგემი | 4,0 | 3,2 | 1,6 |
| ქუინზ პარკი — ქრიუ | 1,8 | 2,9 | 3,4 |
| რედინგი — ტრანმერი | 1,7 | 2,9 | 4,0 |
| შეფილდ იუნაიტედი — ოქსფორდი | 1,2 | 4,2 | 8,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,0 |
| სტოკი — იფსვიჩი | 2,0 | 2,9 | 2,9 |
| სვინდონი — ვესტ ბრომვიჩი | 1,9 | 2,8 | 3,2 |
| ვულვერჰემპტონი — სანდერლენდი | 1,8 | 2,9 | 3,4 |

### იტალიის ჩემპიონატი. სერია A. XIX ტური

8 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ატალანტა — პარმა | 2,8 | 2,8 | 2,1 |
| ბარი — ფიორენტინა | 2,5 | 2,9 | 2,2 |
| ემპოლი — ნაპოლი | 1,5 | 3,3 | 4,4 |
| ინტერი — ბოლონია | 1,1 | 5,3 | 10,0 |
| 0:1 | 1,4 | 3,2 | 4,0 |
| იუვენტუსი — რომა | 1,5 | 2,9 | 5,6 |
| ლაციო — მილანი | 1,8 | 2,8 | 3,6 |
| პიაჩენცა — ვიჩენცა | 1,9 | 2,8 | 3,2 |
| სამპდორია — ბრეშა | 1,4 | 3,2 | 6,0 |
| უდინეზე — ლეჩე | 1,1 | 5,3 | 10,0 |
| 0:1 | 1,4 | 3,2 | 4,0 |

### იტალიის ჩემპიონატი. სერია B. XXI ტური

7 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| პადოვა — ტორინო | 3,6 | 2,8 | 1,8 |

8 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ანკონა — დი სანგრო | 1,6 | 3,0 | 4,4 |
| კალიარი — პესკარა | 1,2 | 4,2 | 8,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,4 |
| კიევო — ფ. ანდრია | 1,6 | 2,9 | 4,7 |
| ლუკეზე — ჯენოა | 1,7 | 2,9 | 4,0 |
| მონცა — ვერონა | 2,4 | 2,6 | 2,4 |
| პერუჯა — რავენა | 1,35 | 3,3 | 6,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,0 |
| რეჯანა — რეჯინა | 1,5 | 3,0 | 5,3 |
| სალერნიტანა — ტრევიზო | 1,2 | 4,2 | 8,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,0 |
| ვენეცია — ფოჯა | 1,15 | 4,7 | 9,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,4 |

### ესპანეთის ჩემპიონატი. პირველი დივიზიონი. XXIV ტური

7 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| სოსიედადი — ბილბაო | 1,6 | 2,9 | 4,7 |

8 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ესპანიოლი — სარაგოსა | 1,5 | 2,9 | 5,6 |
| სალამანკა — სელტა | 2,4 | 2,6 | 2,4 |
| ვალენსია — ვალიადოლიდი | 1,3 | 3,6 | 6,5 |
| 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,4 |
| დეპორტივო — რეალი | 3,2 | 2,8 | 1,9 |
| სპორტინგი — რასინგი | 3,8 | 3,3 | 1,6 |
| ტენერიფე — ბარსელონა | 3,4 | 2,9 | 1,8 |
| მალიორკა — კომპოსტელა | 1,4 | 3,3 | 5,6 |
| 0:1 | 2,2 | 3,2 | 1,9 |
| ბეტისი — მერიდა | 1,2 | 4,2 | 8,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,2 |

9 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ატლეტიკო — ოვიედო | 1,15 | 4,7 | 9,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,2 | 3,0 |

### ესპანეთის ჩემპიონატი. მეორე დივიზიონი. XXVI ტური

8 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ალბასეტე — რაიო ვალეკანო | 2,6 | 2,6 | 2,3 |
| ლეიდა — ლევანტე | 1,15 | 4,7 | 9,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,2 | 3,0 |
| ორენსე — ალავესი | 2,7 | 2,7 | 2,2 |
| ტოლედო — ვილიარეალი | 2,8 | 2,8 | 2,1 |
| ეიბარი — ერკულესი | 1,9 | 2,7 | 3,3 |
| ლას პალმასი — ოსასუნა | 1,2 | 4,2 | 8,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,4 |
| ხაენი — ლეგანესი | 2,1 | 2,7 | 2,9 |
| სერესი — ატლეტიკო B | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| ელჩე — სევილია | 2,4 | 2,6 | 2,4 |
| ესტრემადურა — ლოგრონიესი | 1,1 | 5,3 | 10,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,2 | 3,0 |
| ბადახოსი — ნუმანსია | 1,5 | 3,0 | 5,3 |

### პორტუგალიის ჩემპიონატი. XX ტური

7 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| აკადემიკა — ბენფიკა | 5,0 | 3,1 | 1,5 |

8 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ლეცა — ვარზიმი | 1,4 | 3,2 | 6,0 |
| 0:1 | 2,1 | 3,0 | 2,0 |
| კამპომაიორენსე — მარიტიმუ | 1,9 | 2,8 | 3,2 |
| სეტუბალი — სალგეირუში | 2,0 | 2,8 | 3,0 |
| რიუავე — ბოავიშტა | 1,5 | 3,0 | 5,3 |
| სპორტინგი — გიმარაეში | 1,6 | 2,9 | 4,7 |
| ბრაგა — შავეში | 1,35 | 3,4 | 6,0 |
| ფარენსე — ბელენენსეში | 1,6 | 2,9 | 4,7 |

9 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ამადორა — პორტუ | 3,8 | 3,0 | 1,7 |

### ჰოლანდიის ჩემპიონატი.

6 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ტვენტე — ნაიმეგენი | 1,6 | 3,1 | 4,2 |
| მაასტრიხი — გრონინგენი | 1,9 | 2,9 | 3,1 |

7 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბრედა — ჰერენვენი | 2,4 | 2,6 | 2,4 |
| ტილბერგი — ვიტესი | 2,0 | 2,7 | 3,1 |

8 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| უტრეხტი — ფეიენოორდი | 4,2 | 3,1 | 1,6 |
| ვოლენდამი — როდა | 4,2 | 3,1 | 1,6 |
| ვალვაიკი — აიაქსი | 8,0 | 4,2 | 1,2 |
| გრააფსხაპი — ეინდჰოვენი | 6,0 | 3,4 | 1,35 |

### ბელგიის ჩემპიონატი. XXI ტური

7 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| სტანდარდი — ეკერენი | 2,3 | 3,0 | 2,3 |
| ბევერენი — ბრიუგე | 4,2 | 3,1 | 1,6 |
| ლიერსი — აალსტი | 1,5 | 3,1 | 5,0 |
| გენკი — ანდერლეხტი | 1,7 | 2,8 | 4,2 |
| გენტი — შარლერუა | 1,6 | 3,0 | 4,4 |
| ჰარელბეკი — ვესტერლო | 1,2 | 4,2 | 8,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,2 |
| ანტვერპენი — სტ. ტრიუდენი | 2,0 | 2,9 | 2,9 |
| მუსკრონი — ლოკერენი | 1,8 | 3,0 | 3,3 |
| მოლენბეკი — ლომელი | 2,3 | 3,0 | 2,3 |

### შოტლანდიის ჩემპიონატი. XXIV ტური

7 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| აბერდინი — ჰიბერნიანი | 1,3 | 3,6 | 6,5 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 2,7 |
| კილმარნოკი — სტ. ჯონსტონი | 1,7 | 2,9 | 4,0 |
| დანდი იუნაიტედი — მოზერველი | 1,6 | 3,0 | 4,4 |
| რეინჯერსი — დანფერმლაინი | 1,6 | 5,3 | 10,0 |
| 0:1 | 1,4 | 3,2 | 4,0 |

8 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ჰარტსი — სელტიკი | 2,5 | 2,9 | 2,0 |

### თურქეთის ჩემპიონატი. XXI ტური

6-8 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბეშიქთაში — სამსუნსფორი | 1,25 | 4,0 | 7,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,4 |
| ფენერბაჰჩე — ალთაი | 1,1 | 5,3 | 10,0 |
| 0:1 | 1,3 | 3,6 | 4,2 |
| ბურსასფორი — ისთანბულსფორი | 2,4 | 2,8 | 2,3 |
| ტრაბზონსფორი — ანთალიასფორი | 1,1 | 5,3 | 10,0 |
| 0:1 | 1,3 | 3,6 | 4,2 |
| გალათასარაი — ვანსფორი | 1,05 | 6,5 | 12,0 |
| 0:1 | 1,15 | 3,6 | 6,0 |

### აფრიკის თასი

7 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბურკინა ფასო — კამერუნი | 2,5 | 2,7 | 2,3 |

8 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ალჟირი — გვინეა | 1,4 | 3,3 | 5,6 |
| ს. აფრიკა — ანგოლა | 1,35 | 3,4 | 6,0 |
| კოტ დიუარი — ნამიბია | 1,6 | 3,1 | 4,2 |

9 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| კონგო — ტოგო | 2,0 | 2,9 | 2,9 |
| განა — ტუნისი | 1,8 | 2,9 | 3,4 |
| ზამბია — მაროკო | 3,8 | 3,0 | 1,7 |

10 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ეგვიპტე — მოზამბიკი | 1,5 | 3,1 | 5,0 |

### ტურში გატანილი გოლები:

| | | |
|---|---|---|
| გერმანია (22-ე) | 25 და ნაკლები — 1,9 | 27 და მეტი — 1,9 |
| ინგლისი (25-ე) | 26 და ნაკლები — 1,9 | 28 და მეტი — 1,9 |
| იტალია (მე-19) | 23 და ნაკლები — 1,9 | 25 და მეტი — 1,9 |
| ესპანეთი (24-ე) | 25 და ნაკლები — 1,9 | 27 და მეტი — 1,9 |

## CROCO-2

**ტირაჟი №02**

1. დორტმუნდი — შტუტგარტი
2. ჰამბურგი — ჰერტა
3. მიონხენგლადბახი — შალკე
4. არმინია — მიუნხენი
5. არსენალი — ჩელსი
6. ლესტერი — ლიდსი
7. ბარნსლი — ევერტონი
8. კრ. პალასი — უიმბლდონი

**ტირაჟი №03**

1. ატალანტა — პარმა
2. ბარი — ფიორენტინა
3. ლაციო — მილანი
4. პიაჩენცა — ვიჩენცა
5. სოსიედადი — ბილბაო
6. სალამანკა — სელტა
7. დეპორტივო — რეალი
8. ტენერიფე — ბარსელონა

ერთი ვარიანტის ღირებულებაა 1 ლარი.

ფსონების შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე.

# გორანი შინ არ აგებს

ტოკიო. იაპონია. „პენ პესიფიკ ოუფენ". ტარდება ხალიჩაზე დარბაზში. საპრიზო ფონდი 926 250 $

მაგდალენა მალეევა გასულ უქმეებზე დამთავრებული ავსტრალიის ღია პირველობის ნახევარფინალისტთან, ანკე ჰუბერთან (6) შეხვედრაში სეტსა და 5:6-ს აგებდა, თან მატჩ-პოინტიც უნდა გადაერჩინა, როდესაც პირველი ეისი მოაწოდა, ამ უსიამოვნო სიტუაციისგან თავი დაიძვრინა და შანსის ხელიდან გაშვებით ნერვებმოშლილ გერმანელს შავი დღე აყარა — გადამწყვეტ პარტიაში მხოლოდ ერთი გეიმი დაანება 3:6, 7:6 (7:4), 6:1 22 წლის მალეევა, რომელიც ერთ დროს მსოფლიოს მეოთხე ჩოგანი იყო, უკანასკნელი ორი წელია, ზურგის ტკივილმა გატანჯა, რასაც შარშან მარცხენა მაჯის მოტეხვაც დაემატა. ტრავმების გამო ბულგარელს 1995 წლის შემდეგ ერთი ტურნირიც არ მოუგია და კლასიფიკაციაში 41-ე ადგიზე დაეშვა, თუმცა ელიტაში დაბრუნების იმედი ჯერაც არ დაუკარგავს: „საუკეთესო ფორმაში რომ ვიყავი, ამდენს მაშინაც არ ვვარჯიშობდი. იმედი მაქვს, ჯერ ოცეულში შევაღწევ, წლის ბოლოს კი ათეულშიც." პირველი წრის კიდევ ერთ საინტერესო მატჩში ხორვატიისა და რუსეთის მეორე ჩოგნები — მირიანა ლუჩიჩი და ელენა ლიხოვცევა შეხვდნენ ერთმანეთს. 15 წლის ლუჩიჩმა, რომელმაც ჰინგისთან ერთად ავსტრალიის ღია პირველობა მოიგო წყვილთა შორის და შვეიცარიელის ერთ-ერთ მთავარ მეტოქედ ითვლება მომავალში, რუსს წინააღმდეგობა ვერ გაუწია და საათზე მცირე დროში 1:6, 2:6 დამარცხდა. მირიანამ, რომლისგანაც მეტოქეებს ტკბილი სიტყვა არასოდეს მოუსმენიათ, მარცხი, როგორც ყოველთვის, საკუთარ ცუდ განწყობას და ასეთ სწრაფ საფარზე თამაშის გამოუცდელობას დააბრალა და გაზეპირებული სიტყვებით დასძინა, ვცდილობდი, თითოეული გათამაშება ჩვეულებრივზე სწრაფად დამემთავრებინა და მთავარი შეცდომა სწორედ ეს იყოო.

**პირველი წრე: აი სუგიამა (8, იაპონია) — კერი-ენ გიუზი (ავსტრალია) 7:6 (7:3), 6:0; იუკა იოშიდა — მაგდალენა გრჟიბოვსკა (პოლონეთი) 4:6, 7:6 (7:4), 6:4; ირინა სპირლეა (5, რუმინეთი) — პარკ სუნდ-ჰე (სამხრეთ კორეა) 7:5, 6:0; მარია ალეხანდრა ვენტო (ვენესუელა) — რუქსანდრა დრაგომირი (9, რუმინეთი) 6:1, 6:3; ჯოანეტ კრუგერი (სამხრეთ აფრიკა) — ნატაშა ზვერევა (ბელარუსი) 6:4, 7:6 (9:7); ლი ფანგი (ჩინეთი) — ტამარინე ტანასუგარნი (ტაილანდი) 6:1, 6:3.**

პირველ წრის შეხვედრებიდან გათავისუფლებულმა მარტინა ჰინგისმა მეწყვილის დამარცხებისთვის ელენა ლიხოვცევაზე სასტიკად იძია შური. რუსმა მატჩის პირველი გეიმი მოიგო შვეიცარიელის მოწოდებას ერთიც ლონივრად შემოკრა, მერე კი ასპარეზი მსოფლიოს პირველ ჩოგანს გადაულოცა, რომელმაც ზედიზედ 12 გეიმი მოიგო და კორტზე სულ 44 წუთი დაჰყო. ჰინგისმა ამ ტურნირზე შარშანაც გაიმარჯვა, როცა „ოცნების ფინალში" შტეფი გრაფმა მუხლის ტრავმის გამო ასპარეზობა ველარ შეძლო. გერმანელს ტოკიოში წელსაც უნდა ეთამაშა, მაგრამ უკანასკნელ მომენტში ნაოპერაციევი მუხლის კუნთის ანთება მოიმიზეზა და სპორტში დაბრუნება კიდევ ერთხელ, ამჯერად უვადოდ გადადო. მეორე წრის შეხვედრაში როლან გაროსის ჩემპიონი და ტოკიოს ტურნირის 1996 წლის გამარჯვებული ივა მაიოლი (4) ჩინეთის საუკეთესო ჩოგბურთელს, ფანგ ლის 6:3, 3:0-ს უგებდა, როდესაც აზიელი მარცხენა მუხლის ტკივილმა შეაწუხა და მატჩის გაგრძელებაზე უარი განაცხადა.

მარსელის ღია პირველობა. საფრანგეთი. ტარდება ხალიჩაზე დარბაზში. საპრიზო ფონდი 514 250 $

მელბურნისგან განსხვავებით, ჩრდილოეთ ნახევარსფეროში ზამთარია, ამიტომ ევროპაში საგაზაფხულო თიხნარის ტურნირებამდე ჩოგბურთელები დარბაზებს აფარებენ თავს. მარსელში 1998 წლის სეზონი გახსნეს ავსტრალიის ღია პირველობაგამოტოვებულმა ევგენი კაფელნიკოვმა და რიჩარდ კრაიჩეკმა, რომლებმაც თავიანთ მეტოქეებს ერთნაირი ანგარიშით — 6:4, 6:3 მოუგეს. პირველად განთესილმა რუსმა, რომელმაც იანვრის დასაწყისში ყატარის პირველობაზე ვარჯიშის დროს ფეხი იტკინა, მანამდე კი ახალი წლის აღნიშვნისას სახე შუშხუნით დაიზიანა, ესპანელი ხუან ალბერტ ვილოკა დაამარცხა, უიმბლდონის 1996 წლის ჩემპიონმა კრაიჩეკმა კი — მაროკოელი ქარიმ ალამი. ნახევარფინალში, რომელიც 1997 წლის როლან გაროსის გამეორება იყო, ბრაზილიელმა „გუგა" კუერტენმა (4) კვლავ აჯობა ბელგიელ ფილიპ დევულფს 6:2, 6:4. ATP-ის ტურნირებში კარიერაში პირველი გამარჯვება მოიპოვა ახლახან დამთავრებული ავსტრალიის ღია პირველობის ჩემპიონმა იუნიორებში სებასტიან გროსჟანმა. ფრანგმა პირველ წრეში ცნობილი შფოთისთავი და ავყია ჯეფ ტარანგო დაამარცხა 6:3, 6:4. ყველაზე დიდი მოულოდნელობა შვედმა მიქაელ ტილსტრომმა შემოგვთავაზა, რომელმაც მეხუთედ განთესილი სედრიკ პიოლინი დაამარცხა 7:6 (7:3), 3:6, 7:5. ფრანგმა, რომელმაც ავსტრალიის ღია პირველობის მერვედფინალში ჩემპიონთან, პეტერ კორდასთან წააგო, მარცხი „წლის ყველაზე გრძელ და დამღლელ" მოგზაურობას დააბრალა, თუმცა დამსახურება არც მეტოქეს დაუკარგა, საჭირო მომენტებში კარგად გაისარჯაო.

**პირველი წრე: მარკ-კევინ გელნერი (გერმანია) — ანდრეა გაუდენცი (იტალია) 7:6 (7:3), 6:2; ალბერტ პორტასი (7, ესპანეთი) — ალექს ლოპეს-მორონი (ესპანეთი) 6:3, 6:3; სერხი ბრუგერა (3, ესპანეთი) — ტომას კარბონელი (ესპანეთი) 6:2, 4:6, 6:3; არნო კლემანი (საფრანგეთი) — სხენგ შალკენი (ჰოლანდია) 4:6, 7:6 (7:5), 6:0; ხულიან ალონსო (8, ესპანეთი) — ლიონელ რუ (საფრანგეთი) 6:7 (3:7), 6:3, 6:3; დანიელ ვაცეკი (ჩეხეთი) — ტომას ნიდალი (შვედეთი) 7:6 (12:10), 7:6 (7:4).**

სპლიტი. ხორვატიის ღია პირველობა. ტარდება ხალიჩაზე დარბაზში. საპრიზო ფონდი 400 ათასი $

1996 წელს დაარსებული ხორვატიის ღია პირველობის პატრონიცა და უცვლელი გამარჯვებულიც გორან ივანიშევიჩია და შარშან უკანასკნელი შვიდი წლის განმავლობაში საუკეთესოთა ათეულის მიღმა პირველად დარჩენილი ხორვატი სწორედ მშობლიური სპლიტში აპირებს კუთვნილი ადგილის დაბრუნებას: „ჩემი შესაძლებლობებით საუკეთესოთა ხუთეულს ვეკუთვნი, მაგრამ წინასწარ რაიმეს თქმა არ შემიძლია, არ ვიცი, როდის ავთამაშდები ძველებურად. შეიძლება დროებით ოცეულიდანაც გავვარდე, მაგრამ ერთიორი ნორმალური ტურნირი და ისევ დავბრუნდები, მთავარია, ტრავმები ავიცილო თავიდან." ჯერჯერობით კი გორანი თავის თავს არ ჰგავს — ერთ დროს უსწრაფესად მომწოდებელმა გერმანელ დევიდ პრინოშილისაგან მარტო პირველ ხელში თხუთმეტი ეისი მიიღო, ერთხელ სეტ-პოინტის გადარჩენამაც მოუწია და გამარჯვებას ტაი-ბრეიკზეღა მიაღწია. საბოლოო შედეგი კი 7:6 (8:6), 6:4-ია მის სასარგებლოდ. მეორე წრეში ივანიშევიჩი მასავით მობერებულ, ოღონდ კლასიფიკაციაში კიდევ უფრო დაქვეითებულ ექს-ბობოლას, გერმანელ ბორის ბეკერს შეხვდება, რომელმაც ყველასათვის უცნობ შვედს, ფრედრიკ ბერგს აჯობა 6:3, 7:6 (7:5). ზედიზედ მეორედ პირველ წრეში გამოეთიშა ასპარეზობას ინგლისელი ტიმ ჰენმანი. მან ავსტრალიაში მსოფლიოს 101-ე ჩოგანთან, ჟერომ გოლმართან წააგო, სპლიტში კი 115-ესთან, გერმანელ რაინერ შუტლერთან დამარცხდა 3:6, 6:1, 3:6.



გორან ივანიშევიჩი

**პირველი წრე: მარკ როსე (5, შვეიცარია) — რენცო ფურლანი (იტალია) 3:6, 6:2, 6:3; მარტინ დამი (ჩეხეთი) — ხავიერ სანჩესი (8, ესპანეთი) 6:3, 7:6 (7:1); ანდრეი მედვედევი (4, უკრაინა) — ალექს კალატრავა (ესპანეთი) 6:7 (5:7), 7:6 (11:9), 6:3; ირჟი ნოვაკი (7, სლოვაკეთი) — იენს ნიპშილდი (გერმანია) 6:3, 6:7 (7:9), 7:5.**

**ავთანდილ სვანიძე**



რეგულარული ჩემპიონატი

# ელვებს მეხი დაეცათ

**კალგარი — ლოს ანჯელესი 3:6**

**შაიბები: შტუმპელი 15 (0:1), დომენიჩელი 2 (1:1), მიურეი 17 (1:2), შტუმპელი 16 (1:3), დომენიჩელი 3 (2:3), პატრიკი 3 (3:3), ბლეიკი 12 (3:4), კურტნოლი 5 (3:5), შტუმპელი 17 (3:6)**

სეზონის წინ ბოსტონმა და ლოს ანჯელესმა მოთამაშეები გაცვალეს: „დათვებმა" კალიფორნიაში სლოვაკი იოზეფ შტუმპელი გაუშვეს, მის ნაცვლად კი დმიტრი ხრისტიჩი მიიღეს. სპეციალისტები ამ გაცვლას წლის საუკეთესო ტრეიდად მიიჩნევდნენ და ასეც მოხდა: უკრაინელი ბოსტონში ძალზე ნაყოფიერად ათამაშდა და გარკვეულწილად მისი დამსახურებაა, „დათვები" ამ სეზონში გაცილებით უკეთ რომ გამოიყურებიან. რაც შეეხება შტუმპელს, ლოს ანჯელესმა ისეთი მოთამაშე შეიმატა, როგორიც გრეცკის წასვლის შემდეგ აკლდა — იოზეფი უკეთეს პოზიციაში მყოფ პარტნიორებს უმალ პასით ამარაგებს და ამის წყალობით კალიფორნიელთა გუნდური თამაშიც აეწყო.

თვით სლოვაკი არ მალავს თავის კეთილგანწყობას „მეფეთა" მიმართ და ამას თამაშითაც ადასტურებს. კალგარისთან მას პარტნიორებმაც შეუწყვეს ხელი და კლუბის მთავარი პლეიმეიკერი ზუსტი გადაცემებით დააჯილდოეს. შტუმპელმა კარიერაში პირველი ჰეთ-თრიქიც შეასრულა და ბლეიკს გადამწყვეტი გოლიც გაატანინა.

მთავარი კი ის გახლავთ, რომ „მეფეებს" 1993 წლის შემდეგ პირველად გაუჩნდათ პლეი-ოფში მოხვედრის შანსი.

**2 თებერვალი. პიტსბურგი — აილენდერსი 2:4, ოტავა — ნიუ ჯერსი 0:1 ტამპა — ბუფალო 3:7, ტორონტო — დალასი 1:5, ედმონტონი — ლოს ანჯელესი 1:0, ვანკუვერი — კოლორადო 1:2, სან ხოსე — რეინჯერსი 2:3.**

**3 თებერვალი. ფინიქსი — ჩიკაგო 2:4, კალგარი — ლოს ანჯელესი 3:6, ფლორიდა — დეტროიტი 1:1.**

უქმეებზე გატანილმა ორმა გოლმა აილენდერსის ძალისმიერი თავდამსხმელი პოლ კრუზი მადაზე მოიყვანა და მან პიტსბურგთან შეხვედრაში „კუნძულელთა" მთავარ სნაიპერ ზიგმუნდ პალფისაც (28) აჯობა. კრუზმა „პინგვინთა" მეკარე, წინა კვირის გმირი ტომ ბარასო არ დაინდო და კიდევ 2 შაიბით (სულ — 6) გაზარდა თავისი საგოლე მარაგი. მართალია, იღბლიან ფორვარდს ამ მატჩში ბედიც წყალობდა (მაგალითად, მისი მეორე გოლი სრულიად შემთხვევითი იყო), მაგრამ ფაქტია, რომ კრუზის კარგმა თამაშმა „პინგვინებს" 7-მატჩიანი ხეირიანი სერია შეაწყვეტინა, აილენდერსმა კი ბოლო 4 თამაშში 7 ქულა დააგროვა.



კოლორადოელმა ჯონ კლემმა ვანკუვერის სუპერვარსკვლავი პაველ ბურეც არ დაინდო

ნაგანოს ტურნირის წინ დიდ ინტერესს იწვევს ოლიმპიელთა მზადყოფნა. ერთ-ერთი ძათგახი, დალასისა და აშშ-ის ნაკრების ლიდერი მაიკ მოდანო ტრავმის შემდეგ კვლავ იბრუნებს ჩვეულ ფორმას. ტორონტოსთან შეხვედრაში მან ერთობ გამოიჩინა თავი და 3 ზუსტი პასის გარდა თავადაც შეაგდო უმცირესობაში. სამაგიეროდ, „ვარსკვლავთა" წამყვანი შემტევი მცველი სერგეი ზუბოვი (3 პასი) რუსეთის ნაკრების განაცხადში ვერ მოხვდა.

ზუბოვის დარად, ოლიმპიადაში ვერ მიიღებს მონაწილეობას კოლორადოელი ოზოლინში, თუმცა ეს მისი ბრალი არ არის, რადგან ლატვიის ნაკრებმა საკვალიფიკაციო ტურნირი ვერ გაიარა. უნდა ითქვას, რომ საუცხოოდ ჩატარებული წინა სეზონის შემდეგ ლატვიელი მცველი წელს ნაკლებად აქტიურობდა თავდასხმაში, ახლა კი ტრავმას თანდათან იშუშებს და ვანკუვერთანაც რამდენჯერმე გაბედულად ჩაერთო შეტევებში. სწორედ მისმა ორმა დარტყმამ (სულ — 8) მოუტანა „ეველანშს" მორიგი გამარჯვება აუტსაიდერთან მძიმე ბრძოლაში. სხვათა შორის, ამ ორი კლუბის მიერ ნათამაშევ ბოლო 14 შეხვედრაში კოლორადოს აშკარა უპირატესობა აქვს — 11 მოგება და 3 ფრე, გუნდის ლიდერმა პეტერ ფორსბერგმა კი ამ ხნის განმავლობაში 7 გოლი და 2 პასი მიითვალა.

აშშ-ის ნაკრების კიდევ ერთმა ლიდერმა, ჩიკაგოელმა ტონი ამონტემ, რომელიც, შესაძლოა, მოდანოსთან ერთად გუნდის პირველ სამეულში გამოვიდეს, ბრწყინვალედ ჩაატარა მატჩი ერთ-ერთ კონკურენტ ფინიქსთან: მეორე პერიოდის მიწურულს ფორვარდმა (2+1,19) ორამდე გაზარდა ანგარიშში სხვაობა, ხოლო ბოლო მესამედის პირველსავე წუთზე მისი ზუსტი პასი დაზემ გამოიყენა.

ოტავური შეხვედრის ბედი ერთადერთმა გოლმა გადაწყვიტა. ნიუჯერსელმა სიკორამ მე-8 წუთზე დააწინაურა თავისიანები, შემდეგ კი დაცვაში მარჯვე „ეშმაკებმა" მეკარე ბროდოს თავკაცობით (მე-7 „შათაუტი") მასპინძლებს ანგარიშის გაქვითვის ერთი-ორი შესაძლებლობა მისცეს, რომლებიც „სენატორებმა" ვერ გამოიყენეს.

სხვათა შორის, სიკორა, ისევე, როგორც მისი ორი თანამემამულე ჰოლიკი და ელიაში, ჩეხეთის ეროვნული ნაკრების მესვეურებმა არ მიიწვიეს და მათ ნაგანოელი მაყურებელი ვერ იხილავს.

ედმონტონშიც ერთადერთი შაიბა გავიდა — იგი მაკამონდმა მიითვალა, ხოლო მისმა პარტნიორმა გერინმა, რომელიც ჩინებულად ათამაშდა თავის ახალ კლუბში, ამჯერად მოკრივის თვისებები გამოავლინა და ლოსანჯელესელი მაიკ ჯონსონი ნოკდაუნში ჩააგდო.

ჩემპიონატში ყველაზე უხეიროდ მოასპარეზე ტამპას არა და არ დაადგა საშველი. მას შემდეგ, რაც გასული წლის ბოლო დღეს „ელვებმა" რეინჯერსს მოუგეს, მათ ზედიზედ 13 (!) თამაში წააგეს და ეს, სპეციალისტთა აზრით, გუნდის წამყვან მოთამაშეთა შორის მომხდარმა განხეთქილებამ განაპირობა. ასეა თუ ისე, საპლეიოფო შვიდეულში მოსახვედრად მებრძოლმა ბუფალომ ეს მატჩი ჰაშეკის გარეშეც იოლად მოიგო, თანაც, სეზონში პირველად, 7 გოლი გაიტანა და 50-პროცენტიანი შედეგი აჩვენა. ძალზე ნაყოფიერად გაისარჯნენ ბუფალოელები ოდეტი (2+1,13) და ჰოლცინგერი (1+3,10), ტამპამ კი თამაშის განმავლობაში სამჯერ გამოცვალა მეკარე — ფიცპატრიკი და ახალბედა ბიერკი რიგრიგობით იდგნენ კარში.

რეინჯერსელ სტოკის კარიერაში პირველმა გოლმა და გრეცკის ზედიზედ მე-7 ქულიანმა მატჩმა ნიუიორკელებს მოაგებინა საგარეო სერიის მე-3 შეხვედრაში. თუმცა სანხოსელები, რომელთაც თავიანთ ისტორიაში არასოდეს მოუგიათ რეინჯერთათვის, ამჯერად ახლოს იყვნენ ფრესთან და მიაღწევდნენ კიდეც, ბოლო წუთზე სტუმართა მეკარე რიხტერს რომ არ გამოეჩინა თავი.

**სამველ ლარიბიანი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩრდილო აღმოსავლეთი | | | | | | |
| პიტსბურგი | 55 | 29 | 10 | 16 | 154:126 | 68 |
| მონრეალი | 54 | 28 | 7 | 19 | 165:133 | 63 |
| ბოსტონი | 53 | 23 | 10 | 20 | 136:130 | 56 |
| ოტავა | 55 | 22 | 9 | 24 | 134:133 | 52 |
| კაროლინა | 55 | 20 | 6 | 29 | 133:157 | 46 |
| ატლანტიკა | | | | | | |
| ნიუ ჯერსი | 54 | 32 | 6 | 16 | 153:108 | 70 |
| ფილადელფია | 52 | 28 | 9 | 15 | 152:117 | 65 |
| ვაშინგტონი | 54 | 26 | 10 | 18 | 151:137 | 62 |
| რეინჯერსი | 54 | 17 | 15 | 22 | 136:147 | 49 |
| ფლორიდა | 56 | 18 | 12 | 26 | 136:157 | 48 |
| აილენდერსი | 55 | 19 | 8 | 28 | 142:153 | 46 |
| ტამპა | 53 | 9 | 8 | 36 | 93:174 | 26 |
| ცენტრი | | | | | | |
| დალასი | 55 | 34 | 8 | 13 | 170:114 | 76 |
| დეტროიტი | 56 | 30 | 12 | 14 | 171:128 | 72 |
| სენტ ლუისი | 56 | 28 | 8 | 20 | 164:140 | 64 |
| ფინიქსი | 55 | 24 | 10 | 21 | 159:152 | 58 |
| ჩიკაგო | 54 | 22 | 9 | 23 | 131:126 | 53 |
| ტორონტო | 52 | 17 | 7 | 28 | 121:155 | 41 |
| წყნარი ოკეანე | | | | | | |
| კოლორადო | 56 | 27 | 16 | 13 | 165:134 | 70 |
| ლოს ანჯელესი | 53 | 24 | 9 | 20 | 153:143 | 57 |
| ედმონტონი | 54 | 19 | 10 | 25 | 135:152 | 48 |
| სან ხოსე | 53 | 20 | 7 | 26 | 131:142 | 47 |
| ანაჰაიმი | 54 | 18 | 9 | 27 | 132:169 | 45 |
| კალგარი | 55 | 14 | 11 | 30 | 141:175 | 39 |
| ვანკუვერი | 55 | 14 | 8 | 33 | 142:196 | 36 |

# სისარელი — 600

სამშაბათს ლიგის ერთ-ერთმა სახელოვანმა სნაიპერმა, ფლორიდელმა დინო სისარელიმ იუბილე აღნიშნა. თავის ყოფილ კლუბ (საერთოდ, თავდამსხმელმა კარიერაში 5 გუნდი გამოიცვალა) დეტროიტთან შეხვედრაში მრისხანე ფორვარდმა მატჩის დამთავრებამდე ხუთი წუთით ადრე რიცხვმრავლობაში შაიბა შეაგდო და 8 იმ სახელგანთქმულ სნაიპერს შეუერთდა, რომელთაც 600 ან მეტი გოლი გაუტანიათ. აღსანიშნავია, რომ ვეტერანი სისარელი, რომელიც თავის მე-18 სეზონს ატარებს ლიგაში, „ოლ სტარის" წინ ტამპიდან ფლორიდაში გაცვალეს და ამ ხნის განმავლობაში მან 3 გოლის გატანა მოახერხა. მოქმედ მოთამაშეთაგან სისარელი მხოლოდ უეინ გრეცკის, მაიკ გარტნერს და იარი კურის ჩამორჩება.

**600-იანთა კლუბი: უეინ გრეცკი 875, გორდი ჰოუ 801, მარსელ დიონი 731, ფილ ესპოზიტო 717, მაიკ გარტნერი 706, მარიო ლემიე 613, ბობი ჰალი 610, იარი კური 601, დინო სისარელი 600.**

# კანადას კარიაც დაუშავდა

კანადის ნაკრებს უიღბლობა დაებედა. თავის ბოლო მატჩში ანაჰაიმელმა პოლ კარიამ ორი გოლი გაიტანა, მაგრამ მეორე შაიბის შემდეგ ჩიკაგოს მცველმა გერი სუტერმა (სხვათა შორის, აშშ-ის ნაკრების წევრმა) ისე უხეშად ჰკრა ხელი, რომ კანადელთა ერთ-ერთმა წამყვანმა მოთამაშემ ტვინის შერყევა მიიღო და, შესაძლოა, ოლიმპიადა გამოტოვოს. ასე რომ, გერი სუტერის ოთხმატჩიანი დისკვალიფიკაცია ნაკრების მესვეურებს პრობლემებს ვერ გადაუჭრის.

# კონსტანტინოვი თეთრ სახლში მიიღეს

აშშ-ის პრეზიდენტისა და სტენლის თასის გამარჯვებულების შეხვედრა თეთრ სახლში უკვე ტრადიციად იქცა. წელს კი ეს ცერემონიალი მეტად ემოციური და გულისამაჩუყებელი გახლდათ: 1997 წლის 13 ივნისის ავტოკატასტროფაში დაზარალებული ვლადიმერ კონსტანტინოვი, რომელიც დღემდე უმძიმეს მდგომარეობაშია, პირველად გამოცხადდა ასეთ თავყრილობაზე. პრეზიდენტმა ჰოკეისტი ამ სიტყვებით გაამხნევა: „ვლადი, შენ კიდევ ერთხელ დაადასტურე, რომ ჩემპიონის გული გაქვს".

**ნიუ ჯერსის** მცველი კენ დანეიკო, რომელიც წლევანდელ სეზონში საერთოდ არ გამოსულა ყინულზე, თურმე ბახუსის დიდი ტრფიალი ყოფილა. შარშან მისმა სენ-

# დანეიკო აღარ დალევს

საციურმა განცხადებამ ყველა აალაპარაკა — დანეიკომ თქვა, რომ ქრონიკული ალკოჰოლიზმისგან თავის დაღწევა ძალიან უჭირდა. ამის შემდეგ ლიგის ვეტერანს სამი თვის განმავლობაში რეაბილიტაციის კურსის გავლამ მოუწია და განიკურნა კიდეც. „ეშმაკთა" მწვრთნელები 33 წლის მცველზე დიდ იმედს ამყარებენ, ასე რომ, უახლოეს ხანში დანეიკო კვლავ დაუმშვენებს მხარს თანაგუნდელებს. აღსანიშნავია, რომ კენი ნჰლ-ში ერთ-ერთი ყველაზე ერთგული ჰოკეისტია — ნიუ ჯერსიში გატარებული 14 სეზონით მხოლოდ ბოსტონელ რეი ბურკს (19 წელიწადია, „დათვების" ღირსებას იცავს) და დეტროიტელ სტივ აიზერმანს (15) ჩამორჩება.

## მოტოციკლი

მოტოციკლის ავსტრალიელი კარუზო, 500 კუბური სანტიმეტრის კლასის ბოლო ოთხი წლის უცვლელი ჩემპიონი მიკი დუენი „ჰონდაში“ დარჩა და შინ, ფილიპ-აილენდში ახალი მანქანის გამოცდასაც შეუდგა, მაგრამ რად გინდა — წლევანდელი მსოფლიო პირველობის სტარტი გადაიდო.

# ამდენი ღრიჭო!

ჩემპიონატი 29 მარტს მალაიზიის დიდი პრიზით უნდა დაწყებულიყო, მაგრამ რაკი რეგიონი ფინანსურ კრიზისს მოუცავს, მეზობელ ინდონეზიაში 19 აპრილისთვის დანიშნული შეჯიბრი ჩაიშალა. მოტოციკლის საერთაშორისო ფედერაციასაც (ფიმ) რა დარჩენოდა: კალენდარში ღრიჭო არ დაგვრჩესო, მალაიზიური ეტაპი სამი კვირით გადადო და მას ინდონეზიურის ნაცვლად გამართავს.

ფიმ ულრიჭოობას მაინც ვერ აცდა — საივნისოდ შეგულვებული პორტუგალიის დიდი პრიზიც გამოეცალა ხელიდან, რადგან ეშტორილის რეკონსტრუქციას საშველი ვერ დაადგა. ფედერაციას იმედი აქვს, რომ სანაცვლო შეჯიბრს მაინც დროით გამონახავს.

დუენს ახალი „ჰონდა“ არ მოეწონა. წელს პირველობაზე წესები შეუცვლიათ — საწვავში ტყვიის შემცველობა შეამცირეს. ამის გამო მოტოციკლი უწინდელი სიჩქარით ველარ გაქროლდება. დუენი ვარაუდობს, რომ ზოზინა მანქანებით შეჯიბრი უფრო დაძაბული გამოვა. ერთი კია, მიკის იმაზე ეთანაღრება გული, რომ ნელა რბოლას ნიჭი და გამბედაობა ნაკლები ჭირდება, ხოლო უამათოდ მოტორბოლა სად გაგონილა?

დუენის ღირსეული მემკვიდრე პირტიტველა იტალიელი ვალენტინო როსია. შარშან ღლაპმა „125“ კლასი უსიტყვოდ მოიგო და წელს უკვე „250“-ში ცდის ძალას. ბიჭი ახალი „აპრილიის“ გახედვნას სამი კვირის წინ უნდა შეძგომოდა, მაგრამ თავს დიდი უბედურება დაატყდა: ავტოავარიაში და-



ჩემპიონი ვალენტინო მაინც დედიკოს ბიჭია

ელუპა ორი ძმობილი, ვისთანაც ერთად გაზრდილა. ვალენტინოს, იური გაუდენცის და ფილიპო ბატისტელის იმ წყეულ საღამოს ბარში ერთად უტარებიათ დრო, მერე კი დოსტები მოტომრბოლს დამშვიდობებიან და ღამის კლუბისკენ გაუწევიათ.

თენგიზ არტამონოვი

### წლევანდელი მსოფლიო პირველობის განრიგი

| | | | |
|---|---|---|---|
| I | 5.04 | იაპონია | სუძუკა |
| II | 19.04 | მალაიზია | ჯოჰორი |
| III | 3.05 | ესპანეთი | ხერესი |
| IV | 17.05 | იტალია | მუჯელო |
| V | 31.05 | საფრანგეთი | ლე-კასტელე |
| VI | 14.06 | ? | |
| VII | 27.06 | ჰოლანდია | ასენი |
| VIII | 5.07 | ბრიტანეთი | დონინგტონი |
| IX | 19.07 | გერმანია | ზახსენრინგი |
| X | 23.08 | ჩეხეთი | ბრნო |
| XI | 6.09 | იმოლა | იმოლა |
| XII | 20.09 | კატალონია | ბარსელონა |
| XIII | 4.10 | ავსტრალია | ფილიპ-აილენდი |
| XIV | 18.10 | ბრაზილია | ჟაკარეპაგუა |
| XV | 25.10 | არგენტინა | ბუენოს-აირესი |

## რაგბი

# ავსტრალიის ჯერი იყო

მსოფლიო რაგბის მამები კვლავ აცვიფრებენ სპორტულ სამყაროს. რაც თამაში გაპროფესიულდა და ჯამაგირის აღება მოხელეებმაც დაიწყეს, მოყვარულობის ეპოქის ოპერატიულობა სანატრელი გახდა.

 აი, ახლაც, 1999 წლის მსოფლიო თასის დასკვნითი სტადიის დაწყებამდე თუმც წელიწადი და რვა თვე რჩება, ჯერ არც მატჩების განრიგი გამოქვეყნებულა და არც ბილეთები გამოუტანიათ გასაყიდად; მეტიც, რაგბის საერთაშორისო საბჭოს (ირბ) დიდ-ოღრაშებს ზუსტად ისიც კი არ დაუდგენიათ, ხუთი ქვეჯგუფიდან რა მეთოდით უნდა შეირჩეს რვა მეოთხედფინალისტი და ერთმანეთს რომელი ორ ჯგუფის გამარჯვებულები უნდა დაეჯახონ.

სამაგიეროდ, 2003 წლის V მსოფლიო თასის ფორმულაცა და მასპინძელიც უკვე ცნობილია. რაგბის მმართველი ფენები შეცდომას ალბათ მიხვედრილან და XXI საუკუნისთვის დროით დაუჭერიათ თადარიგი.

მსოფლიო თასის შემოღებას ახალმა ზელანდიამ და ავსტრალიამ თავის დროზე დიდი ამაგი დადეს. პირველი გათამაშებაც საზიაროდ გამართეს 1987 წელს, ახლა კი მორიგ ათასწლეულში მასპინძლობაც პირველებს მათ რომ დაეკისრათ, ეს ამბავი, ავსტრალიური რაგბის მამა ჯონ ონილის თქმით, სიმბოლური ყოფილა.

შეჯიბრი სექტემბერ-ოქტომბერში გაიმართება და უჩვეულოდ დიდხანს — 36 დღეს გატანს. მონაწილე კვლავაც 20 იქნება, მაგრამ სამხრეთელთა გამჭრიახობის ამბავი ხომ მოგეხსენებათ და გუნდებს ოთხ ქვეჯგუფად დაყოფას უპირებენ. თითოგან ხუთ-ხუთი რომ მოხვდება, ყოველ ტურში ოთხი მათგანი კენტად დარჩება, რაც შეჯიბრს ცოტა არ იყოს გააჯანჯლებს. გარდა ამისა, 40-მატჩა შესარჩევი პრელუდიის შემდეგ ოდენ რვა-მატჩა პლეი-ოფი გამოზოგილ ჩაროზს მოგვაგონებს.

1987 წელს უფროსი პარტნიორი ზელანდია იყო. ჯერმა ახლა ავსტრალიას უწია. ქვეყნები უმასპინძლებენ ორ-ორ ქვეჯგუფსა და მეოთხედფინალს და თითო ნახევარფინალს. გახსნის თამაში და დიდი ფინალი გაიმართება სიდნეის ოლიმპიურ სტადიონზე, რომელსაც 2000 წლის თამაშებისთვის ჰოუმბუშის უბეში აშენებენ, ნაოლიმპიადევს კი საბურთაოდ გადააკეთებენ და ტრიბუნებზე 85 ათას სკამსღა დაუტოვებენ.

მასპინძლები ვარაუდობენ, რომ ტურნირის ფულბრუნვა 800 მილიონი დოლარი იქნება. რაგბი ახალ ზელანდიაში უპირველესი სპორტია. ავსტრალიაში იგი თანდათან ჯაბნის 13-კაცა ლიგას, 18-კაცა ეროვნულ ბურთაობას კი მის საბრძანებელში ჰეგემონობას არც ეცილება და ოდენ მეორე სპორტად დამკვიდრებას ესწრაფვის. ამ მოსაზრებათა გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ რაგბის მსოფლიო თასის გამართვა რეგიონს კიდევ სამი წლით შეუნარჩუნებს სიდნეის 2000 წლის ოლიმპიადით მოგვრილ ინერციას, რაც იქაურებს ეკონომიკური სტაბილურობის გარანტიად ესახებათ.

ქაღალდზე არ დაუწერია, თორემ ირბ აშკარად იზიარებს რაგბის უდიდესი შეჯიბრის ნახევარსფეროებს შორის როტაციის იდეას. გაისად მსოფლიო თასს უელსი და მისი ხუთი ერის პირველობისეული ძმობილები რომ მასპინძლობენ, 2003 წელს ჯერი სამხრეთისაა. ინგლისმა, საფრანგეთმა, ესპანეთმა (!) და თვით დანიამაც (!?) ეს მშვენივრად უწყოდნენ, მაგრამ მასპინძლობის განაცხადები მაინც შეიტანეს.

ლობირება კარგა ხანს გაგრძელდა. მართალია, წელიწადნახევრის წინ ირბ-ს ეთქვა, 2003 წლის თასს პატრონს 1998 წლის წლიურ სხდომაზე მივუჩენო, მაგრამ მამებმა ისეთი ხვანჯები დაატრიალეს, რომ გადაწყვეტილების მიღება კინაღამ საპრილოდ გადაიდო, რამაც ზღვისრეთელებს ნერვები საკმაოდ დააწყვიტა.

ბარაქალა ფრანგებს. მათ ზედ სხდომის წინ თავიანთი განაცხადი მოხსნეს და ავსტრალია — ახალი ზელანდიის ზიარ წინადადებას დაუჭირეს მხარი. სიქველეში ლათინებს არც ჩვენ ჩამოვუვარდებითო და ქოში ინგლისელებმაც უმალ უკუ ყარეს. ბოლოს ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა: ირბ-ის 21-კაცა აღმასკომმა განაჩენი ერთხმად გამოიტანა.

ავსტრალია ფრანგებს ვალში არ დაურჩა. „ვოლაბებს“ წლევანდელ საერთაშორისო კალენდარში ერთი ვაკანსია რჩებოდათ. ჰოდა, დაადგინეს, რომ ტვიკნემში „კუკის თასისთვის“ ინგლისთან გაჯიბრების კვირის თავზე საფრანგეთს წაეთამაშონ პარიზის ახალთახალ „სტად დე ფრანსზე“. ეს მატჩი 21 ნოემბრისთვის დაინიშნა.

ონილი იმედიანადაა. 2003 წლის სარეკლამო კამპანიის დევიზად უკვე აურჩევია „იმოგზაურეთ ეკვატორს ქვემოთო“; თამაშების გამართვას ერთბაშად ხუთ ქალაქში: სიდნეიში, ბრისბენში, კანბერაში, მელბურნსა და პერთში აპირებს. მამები ადელაიდისა და პროვინციული ქალაქების მარაქაში გარევასაც ფიქრობენ. მათი ჩანაფიქრით, 15-კაცა თამაშმა მთელი ქვეყანა უნდა დაიპყროს.




შეჯიბრი ავსტრალია — ახალი ზელანდიის პირველი ტესტის 100 (!) წლისთავზე მოდის. „ვოლაბები“ ამჟამად გვარიანად ჩამოუვარდებიან „ოლ ბლეკსს“, მაგრამ ონილს ძველი მეტოქის საჯობნად მუხთალი გეგმა შეუმუშავებია. ესაო და შინა ზავის ჩამოვარდნის მიუხედავად 13-კაცა ლიგაში მაინც კრიზისია, კიდევ კარგა ხანს წელში ვერ გაიმართება; ახლა იქეთ შევუტევთ და თუ ძველ დროში იგი გვართმევდა საუკეთესო მოთამაშეებს, ტალანტებს ახლა ჩვენ წამოვგვრითო.

ონილს თვალი დაუდგამს „კანბერის“ რიკი სტიუარტისა და სიდნეის ბობოლა კლუბ „მენლის“ მორკინალ სტივ მენზისისთვის. „რიკი, თუ არ მეშლება, ლიგაში რაგბიდან წასულა (არ ეშლება!), სტივი კი გადასარევი 8 ნომერი იქნებაო“, — განუცხადებია ონილს.

ლუკა ჯორჯიაშვილი

### ხუთი ერის პირველობა

პირველი ტური

| | | |
|---|---|---|
| პირდაპირ: | 7.02 - | 19:00 -დან 23:00 -მდე |
| გამეორება: | 8.02 - | 10:00 -დან 14:00 -მდე |

მეორე ტური

| | | |
|---|---|---|
| პირდაპირ: | 21.02 - | 19:00 -დან 23:00 -მდე |
| გამეორება: | 22.02 - | 10:00 -დან 14:00 -მდე |

საქართველოს თარიღითა და დროით

### რაგბის სამყარო

მსოფლიო რაგბის კვირეული მიმოხილვა

WORLD OF RUGBY

7.02 - 17:30; 9.02 - 10:30

13.02 - 14:30, 18:00

20.02 - 23:00; 21.02 - 9:30; 24.02 - 13:30

27.02 - 18:00; 28.02 - 9:00

## აფროსნობა

# ქარს სულ ამაოდ დაეძებენ

### ვიტბრედის VII გარსაქვეყნო ნაოსნობა ვოლვოს თასზე

V სტადია. ოკლენდი (ზელანდია) — სან-სებასტიანი (ბრაზილია)
1 - 23 თებერვალი (6 670 მილი)
პოზიციები გრინვიჩის დროით 08.20 საათზე

| იახტა | დროშა | ქ | სკიპერი | 3-II | 4-II |
|---|---|---|---|---|---|
| ტოშიბა | აშშ | 299 | სტენდბრიჯი | +1.4 | 6043.7 |
| ჩესი რეისინგ | აშშ | 294 | დიი სმითი | 6263.1 | +2.7 |
| მერიტ კაპ | მონაკო | 333 | დოლტონი | +16.3 | +8 |
| სვიდიშ მეჩ | შვედეთი | 313 | კრანცი | +14.8 | +10 |
| სილკ კატ | ბრიტანეთი | 258 | ლ. სმითი | +16.8 | +10.9 |
| ი-ეფ ლენგვიჯ | შვედეთი | 372 | კეიარდი | +25.3 | +17.4 |
| ინოვეიშენ კვერნერ | ნორვეგია | 307 | ფროსტადი | +4.8 | +23.3 |
| ი-ეფ ედუკეიშენ | შვედეთი | 100 | გიუ (ქალი) | +4.5 | +27.3 |
| ბრიუნელსანერჯი | პოლანდია | 96 | პაინერი | +18.2 | +66.7 |



მორაგბე ლომუ (მარჯვნივ) აფროსნობაშიც მაგარია!
ოლ სპორტი ოკლენდიდან

მოლოდინი ვერ მართლდება, თუმცკი ჯერაც ადრეა მთოშავი გრიგალები, ვეება ტალღები და მოხეტიალე აისბერგები. ქრის სუსტი პირქარი და ფლოტიც ჩეტემის კუნძულებისკენ მიღოღავს. გრაფიკის ჩამორჩენა უკვე ორი დღეა: თუ ნავებმა ამიერიდან ნავარაუდევი სიჩქარით იცურეს, ფინიშს 25 თებერვალსღა უწევენ.

ნავიგატორები ქარს გამეტებით ეძებენ ხან სად და ხანაც სად. „მერიტ კაპი“, „ჩესი“, „მეჩი“ და „სილკ კატი“ ზელანდიის აღმოსავლეთ სანაპიროს მიუყვებიან, „ინოვეიშენი“, „ტოშიბა“ და „ედუკეიშენი“ კი ნაპირს გვარიანად დაცილებიან. „ლენგვიჯიც“ თავიდან ამ კურსს ადგა, მაგრამ მერე ნაპირისკენ გაუტია. აი, მაჩანჩალა „ბრიუნელმა“ კი ყველასგან განსხვავებული გეზი აიღო: ფრიადი ტაქტიკური ჩანაფიქრის გამო ჩრდილო კუნძულის აღმოსავლეთ კონცხს შორით მოუარა და გვარიანადაც ჩამორჩა.

ბოლო ორი დღე-ღამის მანძილზე ლიდერი ორჯერ შეიცვალა. „მერიტ კაპმა“ მოწინავე პოზიცია უსახელოდ დაკარგა. სამაგიეროდ, იყოჩაღა დიაცთა ეკიპაჟმა. მათ „ინოვეიშენს“ მიბაძეს, ჩეტემის შემოვლა აღმოსავლეთით დააპირეს და ერთი პირობა მესამე ადგილზეც კი გადავიდნენ. ბოლოს მაინც იმათი არჩევანი გამოდგა სწორი, ვინც გეზი უფრო დასავლეთით დაიჭირა: ბობოლა დენის კონერის „ტოშიბა“, კვლავაც უპატრონოდ რომ მიცურავს, სტადიაზე ამ პირველად დაწინაურდა.

დასასრულ, ერთი სალაღობო ამბავიც ვთქვათ. „ი-ეფ“ ნავები ოკლენდში რომ ისვენებდნენ, შოუ გამართეს: თავად ორ-ორი ქალ-ვაჟი გაიყვანეს, ახალი ზელანდიის რაგბის ნაკრების ზორბა ბეკი ჯონა ლომუც აიმატეს და თანამედროვე, სამ-სიჩქარიანი ჯალამბარით ანძის კენწერომდე ფიტულის აწევაში შეეჯიბრნენ ერთმანეთს.

როგორ გგონიათ, ვინ გაიმარჯვა? — ვინა და ჯონამ. მას მანამდე ახლოდან არც ენახა მოწყობილობა, იახტებზე წარა-მარა რომ ატრიალებენ, მაგრამ საქმეს უმალ ჩაუმუღამდა და ბოლო ცდაზე ისეთი შედეგი გააჩერხა, რომ თვით სკიპერი პოლ კეიარდიც კი გადარია.

ზღვის მგელმა აღიარა, ლომუ ყოველმხრივ ნიჭიერი ბიჭია და ჯანიც ჩვენზე მეტი აქვსო. მას კვერი დაუკრა „ედუკეიშენის“ წევრმა კირინ მაკმასტერმა, დროა გუნდში ავიმატოთ და V სტადია ვაცუროთო. ლომუ ამას არ დაყაბულდა და ოდენ თასი და შამპანური იკმარა.

მიხო ნინუა

მშენებლობა დიზაინი რეკლამა

აკაცია Acacia

ჰორიზონტალური და ვერტიკალური ჟალუზები
დამცავი ჟალუზები
მარკიზები

ფასები გაგაკვირვებთ

ყაზბეგის 42 ტელ 375281 294840

e-mail dato@acacia.postnet.ge

## სარბიელი

სპორტული გაზეთი
გამოდის
ორშაბათობით, სამშაბათობით,
ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

ტექნიკური რედაქტორი
გურამ ხელაშვილი

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიგინეიშვილი
ზურაბ მეძველია

ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, მერაბ მამულაშვილი, ონისე შინჯიკაშვილი

სხვა სახეობათა განყოფილება:
გიო აჩვლედიანი, ილია მხეიძე, ავთანდილ სვანიძე, ლევან ჯავახიშვილი

კორესპონდენტი ქუთაისში
იუზა კაციტაძე

კორესპონდენტი ლონდონში
დავით მჭედლიშვილი

ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი
ბადრი კეთილაძე

სტილისტები: მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი

კომპიუტერული ცენტრი:
ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, მარიკა ტაბიძე, ლევან ჩხეიძე, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი

გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29